ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1935 წ. ივნისი
პარიზი

№ 54

1935 — JUIN
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

საითკენ...

მოსკოვის უკანასკნელი აქტები, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკაში, საჯაროთ სვამს საკითხს: საითკენ მიდიან, რა გეზი აუღიათ?

ამ საკითხის გამოსარკვევათ საკმარისია გავიხსენოთ ეს აქტები: ერთა ლიგაში შემოსვლა და მისი კანონებისათვის დამორჩილება, საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო ხელშეკრულობა და ერთიმეორის დახმარების ვალდებულობა; საომარი მზადება და სამხედრო უწყების მთავარ ორგანოთ აღიარება, ძველი ბოლშევიკების აშკარათ დევნა, მათი საზოგადოების დაშლა, მათი საპასუხისმგებლო ადგილებიდან გაძევება, ახალ-ახალი კომუნისტების წინ წამოწევა და ომის და თავდაცვის ხაზზე აღზრდილთა პარტიის ზედაფენებათ გადაქცევა, იაპონიის წინაშე უკან უკან დახევა და ბოლოს ჩინეთში ჩაურევლობის პრინციპის გამოცხადება, მსოფლიო რევოლიუციაზე თანდათანი უარის თქმა და ბოლოს სტალინის მიერ მოკავშირე ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაცვის აუცილებლობა და კომუნისტური ოპოზიციის შენელება, ცდა კოლმეურნეობის რეფორმის მასებთან შესარიგებლათ და კერძო ეკონომიკისათვის პატარა გასაქანის მიცემა. ყველა ეს ფაქტები მოწმობენ ერთს: საბჭოთა სამეფო ამხანათ იმყოფება საშიშროების ხანაში და პირველ რიგში აყენებს თავდაცვას. ამ საფრთხეს ის მოელის საგარეო მომენტიდან, ომისაგან და მის დასახვედრათ ემზადება მთელი მუშაობის ახალ ხაზზე გადაწყობით. ვინაიდან ეს ხაზი სრულიად არ გავს ძველ ხაზს, ამიტომ ძველი ხალხი მის აგენტებათ ვერ იქნებიან და მათ ალაგას მოდის ახალი. ამ ახლების აღზრდა და ჩათრევა აღარ შეიძლება ძველი ლოზუნგებით, გავლილი და გაცვეთილი გზით. შეტევის პერიოდი ჩამოქვეითდა დაცვის პერიოდამდე, რევოლიუციური დროშა კონსერვატორიულამდე. ამ მიმდინარე ფაზას ესაჭიროება ახალი შესაფერი ლოზუნგები, რაიცა იკრიბება და საზოგადოებას ეფინება თავდაცვის ცნობილი ლექსიკონიდან.

«რუსეთი, სწერს პრავდა, გახდა ყველა ერთა მშომელთა დედათ... და ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტების ახალი თაობანი, რომელთათვის ქვეყნის ინტერესი დგას ყველაზე მაღლა. საბჭოთა პატრიოტიზმი იწვის ჩვენსში დიდ ცეცხლათ. ის წინ სწევს ცხოვრებას» და სხ.

აი ეს ჰანგები გახდა ოფიციალურ ჰანგებათ, პატრიოდიზმი სახელმწიფო დოქტრინათ. უწინარეს ყოვლისა—რუსეთი, ხოლო ყველა დანარჩენი ენაწყლიანობა ამ «დედას» ემსახურება. რუსული ნაციონალიზმი აიშვა და მის სამსახურში ახალი ბოლშევიზმი დგება. ეს ნაციონალიზმი თავისი შინაარსით არ ახალია. ყველა არარუსთა რესპუბლიკებში რუსის ხიშტით შემოდიოდა საბჭოთა ძალმომრეობა და ნაციონალური მართველობის ალაგას მყარდებოდა. ქართველ ბოლშევიკებმა «ლენინის ენა» მსოფლიო ენათაც გამოაცხადეს და მოიწოდეს საქართველო მის შესასწავლათ. ბოლშევიზმი მუდამ იყო და არის რუსული მოვლენა და მისი გაძლიერება რუსების გაბატონება. დღეს მხოლოდ მას ჩამოსცვინდა ფერ-უმარილი, ჩამოეხსნა პირბადე, დაკარგა რევოლიუციური სახეობა და გატიტვლებული გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე, როგორც წმინდა წყლის რუსის ნაციონალისტი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია მათი დღევანდელი დაცვა რუსის ლიბერალების და ნაციონალ ფაშისტების მიერ; და რომ მონარქისტებს დაკარგული მამული და ძველი დიდება გონებას არ უბნევდეს—დიდი ხანია ამ ბანაკში თავს ამოყოფდენ.

ერთი სიტყვით, ლენინის ბოლშევიზმი სხვაფერდება სტალინის ბოლშევიზმათ, რუსულ ნაციონალურ «სოციალიზმათ» და მასზე დაშენებულ იმპერიალიზმათ. გზა და საშუალება ერთია: სამხედრო ძლიერება; მილიტარიზმი მისი ფარ-ხმალია, ნაციონალიზმი მისი დროშაა. საბჭოთა წყობილება ჩვენი თვალის წინ ხდება სამხედრო იმპერიათ; ისტორიული სტიქია მას დევნის ძველი პოზიციებიდან, სცვლის მის შინაგან სტრუკტურას, არყევს პარტიის იდეოლოგიას, უქმნის ახალ-ახალ ამოცანებს, სცვლის ბატონების პსიხოლოგიას, ახალგაზდობის ასპარეზს, აყენებს მოულოდნელ გაჭირებათა წინაშე და ერეკება მთელ წყობილებას ერთი მხრით, ერთი ალტერნატივისაკენ: ან უნდა გაიმარჯვოს და გაბატონდეს დასავლეთში და აღმოსავლეთში, ან უნდა დაიმსხვრას და მის ნანგრევებზე აშენდეს ახალი ნაციონალური სახელმწიფონი, მშვიდი, პაციფიური და ერთიმეორის და მეზობლების პატივის მცემელნი.

მოსკოვი მიდის ქარტეხილისაკენ...

◆

იოსებ პილსუდსკი

12 მაისს გარდაიცვალა პოლონეთის ეროვნული გმირი—იოსებ პილსუდსკი. ის დაიბადა 1867 წელს ვილნოს მახლობლად პატარა სოფელ ზულოვში. მამა მისი იყო მემამულე და ცნობილი აგრანომი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 1863 წლის პოლონეთის ეროვნულ აჯანყებაში, რისთვისაც ის იყო დევნილი, იძულებული შეიქნა მიეტოვებინა კოვნოს მიდამოები და გადასახლებულიყო ვილნოს მახლობლათ, სადაც მის ცოლს—მარია შილევიჩს მამული ჰქონდა.

პილსუდსკის დედა იყო დიდი ბუნების და განათლების ადამიანი და შვილების აღზრდას უმთავრესად ის უძღვებოდა და ხელმძღვანელობდა. ის არა თუ თავის შვილებს ასწავლიდა წერას და კითხვას, არამედ ის მუდმივათ ზრდიდა და აღვიძებდა მათში ნამდვილ ადამიანურ, მამულიშვილურ და საზოგადოებრივ გრძნობებს, ის პოლონეთს მომავალ თავდადებულ მებრძოლთ უმზადებდა.

პილსუდსკის ბავშობა და ახალგაზდობა პოლოხეთის ერის დამარცხების და დეპრესიის ხანაში ჩატარდა.

1863 წლის პოლონეთის აჯანყება, რომელშიდაც ერის თითქმის ყველა ფენებმა მიიღო აქტიური მონაწილეობა სისხლში იქნა ჩახრჩობილი. გამარჯვებული რუსის მთავრობა არ დაკმაყოფილდა მით, რომ აუარებელი პოლონელი პატრიოტი გაულიტა და ციმბირის ცივ კუთხეებში გადაასახლა. მან მოინდომა პოლონეთის ერში თავისუფლებისადმი სიყვარულის ჩაკვლა და მისი ბრძოლის უნარის და ნებისყოფის მოსპობა. ამ მიზნით მან საშინელ რეპრესიებს და დევნას მიმართა.

გენერალი მურავიოვი იჭერდა და ციხეებში სტანჯავდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ პოლონეთის საუკეთესო შვილთ. ხურავდა პოლონეთის ეკლესიებს, ან მათ მართლმადიდებელთა ტაძრებათ აქცევდა. ართმევდა პოლონელებს მიწას და ურიგებდა მას რუსის ოფიცრებს, ჩინოვნიკებს და გლეხებს. პოლონური ენა არა თუ განდევნილი იყო სკოლებიდან, არამედ მისი ხმარება აკრძალული იყო სასამართლოშიდაც. ყველა ეროვნული დაწესებულებები სასტიკ რუსიფიკაციას განიცდიდა. ქუჩებში ყოველგან იყო წარწერა: პოლონურად ლაპარაკი აღკრძალულია. ეროვნულ მოძრაობისადმი თანაგრძნობა, ან პოლონური ფურცლის, თუ ბროშურის უბრალო კითხვა ციხეს და რეპრესიებს იწვევდა.

პილსუდსკიმ მიახწია თუ არა იმ ასაკს, როცა ბავშებს ისტორიული მოთხრობები აინტერესებს, დედა მას მუდამ უამბობდა 1863 წლის აჯანყების და მის შემდეგ მოყოლებულ ამბებს. აცნობდა აგრეთვე ბავშს იმ როლს, რომელიც მისი ოჯახის წევრთ ეროვნულ მოძრაობაში უთამაშია. ამნაირათ დედა შვილს გულში მტრის წინააღმდეგ შეურიგებლობას უღვიძებდა და უნერგავდა, მას ნამდვილ მებრძოლათ ზრდიდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის სიმკაცრე და სიმწვავე თვით იგრძნო პილსუდსკიმ გიმნაზიაში, სადაც მას დამცირება და თავმოყვარეობის შელახვა არა ერთხელ განუცდია. გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში ის თავის ძმასთან ერთათ აარსებს არალეგალურ წრეს, სადაც სწავლობენ პოლონეთის ისტორიას, ლიტერატურას და ეცნობიან აგრეთვე მარქსის, ივანიუკოვის და სხვა სოციალისტების მოძღვრებას.

1884 წელს ის შედის ხარკოვის უნივერსიტეტში მედიკურ ფაკულტეტზე და აქ უახლოვდება რუს რევოლიუციონერებს და სოციალისტებს. იღებს მონაწილეობას სტუდენტთა რევოლიუციონურ მოძრაობაში, რისთვისაც მას უნივერსიტეტიდან აძევებენ.

1886 წელს ბრუნდება ვილნოში და აარსებს პირველ სოციალისტურ წრეს ამ ქალაქში. სხვა მეგობრებთან იძენენ გეგტოგრაფს და მასზე არალეგალურათ ბეჭდავენ ფურცლებს მუშებისათვის.

1887 წელს პილსუდსკის მის ძმებთან ერთად ატყვებენ და ასახლებენ ციმბირში ალექსანდრე მე III წინააღმდეგ შეთქმულობის გამო.

ციმბირში ის ხვდება და კავშირი აქვს რუს რევოლიუციონერებთან და სოციალისტებთან, განსაკუთრებით მეგობრობს 1863 წლის აჯანყების შემდეგ პოლონეთიდან განდევნილ თანამემამულეთ. ის ბევრს კითხულობს, სწერს, დილიდან საღამომდე მუშაობს. ციმბირში ყოფნის დროს პილსუდსკიმ კიდევ უფრო შეიძულა რუსეთის აბსოლიუტური რეჟიმი და მის წინააღმდეგ საბრძოლველათ მთელი თავისი არსებით ემზადებოდა.

5 წლის შემდეგ, როცა მისი გადასახლების ვადა გათავდა, 1892 წელს პილსუდსკი ბრუნდება ვილნოში. ის აკვირდება პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და ნათლათ ხედავს ორ მთავარ მოვლენას.

ერთი მხრივ საზოგადოების ერთი ნაწილის, განსაკუთრებით მის შეძლებულ ფენებს, რუსეთის ტერორით დაშინებულს და მოღლილს ბრძოლისათვის თავი გაუნებებია და პოლონეთის თავისუფლების საქმე სამუდამოთ წაგებულად წარმოუდგენია. ვაჭარ-მრეწველების წრეები, მემამულენი რუსეთის მთავრობასთან შეგუების პოლიტიკას დასდგომიან, წარსულს ივიწყებენ და მშვიდობიან ცხოვრებას მისცემიან. მათი ერთათ ერთი მიზანია მატერიალური კეთილდღეობა. ბრძოლის ცეცხლი, იდეალიზმი მათში ჩამქრალა და ყველა ესენი დამორჩილების ფსიქოლოგიას შეუპყრია.

მაგრამ მეორე მხრივ პილსუდსკიმ იგრძნო და დაინახა, რომ თუ პოლონეთის არისტოკრატია და ბურჟუაზია აპატია-პესიმიზმს მისცემოდა და საზოგადო-საქმეები მათ აღარ აინტერესებდათ, ერის დაბალ ფენებში რევოლიუციონური აღტყინება არა თუ არ გამქრალიყო, არამედ თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა. პილსუდსკიმაც მთელი თავისი ყურადღება აქეთ მიაქცია და მისი დაუშრეტელი ენერგიით მუშაობა აქ დაიწყო.

1893 წელს ის ხვდება პოლონელ სოციალისტს მენდელსონს და პროგრამულ საკითხებზე მოლაპარაკების შემდეგ ვილნოს სოციალისტების ჯგუფთან ერთათ უერთდება პოლონეთის სოციალისტურ პარტიას და დაშინსკისთან, ვოიცეხოვსკისთან და მენდელსონთან ერთად უდიდეს აქტიობას იჩენს პარტიულ მოღვაწეობაში.

პილსუდსკი იყო პარტიის მთავარი ორგანიზატორი და კონსპირატორი, მისი ხელმძღვანელობით იყო რომ ლონდონიდან არალეგალურად შემოქონდათ იქ დაბეჭდილი პოლონური ფურცლები და ბროშურები, რომელნიც შემდეგ მუშებში ვრცელდებოდა. როცა ბროშურები და ფურცლები საკმარისი აღარ იყო და საჭირო შეიქნა მუშებისათვის პოპულიარული და მასიური გაზეთი, პილსუდსკიმ საზღვარგარეთიდან ჩამოატანინა სტამბა და არალეგალურათ მოაწყო ის ვილნოში.

დაიწყეს გაზეთ «რობოტნიკის» გამოცემა (1895წ.), რომლის მთავარი რედაქტორი და გამომცემელი თვით პილსუდსკი იყო. ის მუდმივათ სწერდა ამ გაზეთში, ცემდა ფურცლებს, დადიოდა სხვადასხვა ქალაქებში, აარსებდა არალეგალურ წრეებს და ყველგან «რობოტნიკს» ავრცელებდა. ამ გაზეთმა ყველა წრეებში მოიპოვა დიდი თანაგრძნობა. ის ყველას ამხნევებდა და იმედს აძლევდა. ის გახდა მუშათა კლასის მთავარი ორგანო, რომელიც მას რუსეთის აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ და ეროვნულ თავისუფლების და სოციალურ გამარჯვებისათვის საბრძოლველათ მოუწოდებდა.

თითქმის ექვსი წლის განმავლობაში პილსუდსკი «ვიატორის» ფსევდონიმით აწარმოებს დაუღალავ მუშაობას. პოლიცია გამუდმებით სდევს მას, მაგრამ მის გზას და კვალს ვერ აკვლევს. «ვიატორი» ხან აქ, ხან იქ არის. დღე, სადღაც ბნელ და მიყრუებულ ბინაზე მუშაობს, ღამე დადის მეგობრებთან, თუ კრებაზე მომხრეებს იძენს. თანამშრომელთ და დამხმარეთ იძენს თვით პოლიციაში, ადმინისტრაციაში, ქალაქის თვითმართველობებში. ის ყოველგან არის და მოქმედებს, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება შეუძლებელი ხდება.

1899 წელს პილსუდსკიმ გადასწყვიტა თავისი სამოქმედო ასპარეზი კიდევ უფრო გაეფართოვებინა. ამ მიზნით მან გადაიტანა სტამბა და «რობოტნიკის» გამოცემა დაიწყო ლოდზში, პოლონეთის ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრში, სადაც მუშათა კლასი თავმოყრილი იყო. პილსუდსკი თამამდება. პოლიციას აღარ ერიდება და 1900 წლის თებერვალში მას იჭერენ «რობოტნიკის» რედაქციაში.

პილსუდსკი მოათავსეს საშინელ რეჟიმით ცნობილ ვარშავის ერთ ციხეში. მან აქ გააკეთა ნერვებით ავათმყოფობის სიმულიაცია, რის შემდეგ ის გადაყვანილ იქნა პეტერბურგის საავათმყოფოში. მაგრამ მალე, იმავე წლის მაისში, ექიმ მაზურკევიჩთან ერთად და მისი დახმარებით ის ახერხებს ციხის საავათმყოფოდან გაპარვას. მოდის კიევში, სადაც ლოდზიდან გადმოტანილ იქნა «რობოტნიკი», ადგენს მორიგ ნომერს, ისვენებს რამოდენიმე დღით და მაზურკევიჩთან ერთად გადადის გალიციაში. შემდეგ მიდის ლონდონში, იქ ჩაატარებს სარევოლიუციო მუშაობას სხვა პოლონელ რევოლიუციონერებთან ერთათ და 1902 წელს ბრუნდება უკან კრაკოვში, სადაც აგრძელებს მის დაუღალავ საქმიანობას.

1904 წელში იწყება რუსეთ-იაპონიის ომი. პილსუდსკი ფიქრობს, რომ დადგა მომენტი სიტყვებიდან საქმეზე გადასვლისა და რუსეთის უღლის გადაგდებისა. ომის დაწყებისას ის მიდის ტოკიოში, აწარმოებს აქ მოლაპარაკებას, პირდება პოლონეთის რუსეთის წინააღმდეგ მათთან ერთათ ბრძოლას და ამისათვის სთხოვს მათ შესაფერ დახმარებას. მაგრამ აქედან არაფერი გამოდის და ის უკან ბრუნდება. ის სასტიკი წინააღმდეგია პოლონელების შორეულ აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნის. მისი ხელმძღვანელობით და ინიციატივით ვარშავაში და პოლონეთის სხვა ქალაქებში ხდება მანიფესტაციები მობილიზაციის წინააღმდეგ. მანიფესტანტებს ყოველგან ხელში აქვთ დროშები წარწერით: პოლონეთის სოციალისტური პარტია. ჩვენ უარს ვამბობთ მეფისათვის ბრძოლაზეო. ამავე დროს პილსუდსკი ცდილობს თვითონ შეადგინოს ახალგაზდა პოლონელებიდან ეროვნული რაზმები და დაუპირდაპირდეს რუსეთის მთავრობას. ეს მისი გეგმა ვერ ხორციელდება, მაგრამ პილსუდსკი მთელ რუსულ პოლონეთში ლეგენდარულ სახელს იხვეჭს და რევოლიუციონურ მოძრაობის სული და გული ხდება.

მალე პოლონეთის სოციალისტებს შორის დიდი ბრძოლა იწყება და წინანდელი უთანხმოება მათ შორის ეროვნულ საკითხის გამო კიდევ უფრო ღრმავდება. როზა ლუქსენბურგი, ტიშკო და პოლონეთის სხვა სოციალდემოკრატები არ ეთანხმებიან პილსუდსკის და მის მომხრეებს, რომ პროგრამულ საკითხათ პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხი ყოფილიყო წამოყენებული და მხარს უჭერენ მხოლოთ პოლონეთის ავტონომიას (1906 წელი). პილსუდსკი, დაშინსკი, და ბევრი სხვები კი დამოუკიდებლობის გადაჭრილი მომხრენი იყვნენ. ამ დავის შესახებ წინეთ კ. კაუცკისაც ქონდა «ნოიე ცაიტში» წერილები, რომელშიდაც ის პოლონეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოთ და დასაცავათ გამოდიოდა.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხებას რუსეთში თან მოყვა საყოველთაო და სასტიკი რეაქცია, რომელიც, რასაკვირელია, პოლონეთსაც მოედო და იქაც დეპრესია და უიმედობა გამოიწვია. 1908 წელში პილსუდსკიმ დროებით შესწყვიტა თავისი რევოლიუციონური მოქმედება რუსულ პოლონეთში და გადავიდა გალიციაში.

პილსუდსკი ჰაერში გრძნობს რუსეთს და ავსტრიის შორის ომის მოსალოდნელობას და როცა ის გალიციაში გადავიდა დაიწყო იქ პოლონურ ლეგიონების (მსროლელთა საზოგადოების სახელწოდებით) შედგენა, ავსტრიის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და ომის დროს მათთან ბრძოლას პირდებოდა. მთავრობა ოფიციალურად ნებას არ რთავდა, მაგრამ ფაქტიურად ხელს არ უშლიდა და კიდევაც ეხმარებოდა.

1913 წელს პილსუდსკის მთელ გალიციაში 200 დე პოლონელ მსროლელთა საზოგადოება ყავდა.

როცა 1914 წელს ომი ატყდა პილსუდსკი თავის ლეგიონებით ავსტრო-გერმანიასთან ერთათ რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. მისი სურვილი იყო, ჯერ რუსეთი დამარცხებულიყო, მერმედ კი მოღლილ-მოქანცულ ავსტრო-გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა ისე ძნელი აღარ იქნებოდა და პოლონეთის სამივე ნაწილის გაერთიანება უფრო ადვილი საქმე შეიქნებოდა.

ბრძოლის პროცესში გათამამებულ პილსუდსკისგან გერმანელები სრულ სუბორდინაციას მოითხოვენ. მაგრამ როცა პილსუდსკი მაინც თავისი გზით სვლას განაგრძობს, გერმანელები მას მაგდებურგის ციხეში ამწყვდევენ. ციხიდან პილსუდსკის გერმანიის რევოლიუცია ანთავისუფლებს.

1918 წლის ნოემბერში პილსუდსკი ვარშავაშია. მისი თაოსნობით და ხელმძღვანელობით ოკუპანტებს იარაღს აყრიან და მას თვითონ კი სარეგენტო საბჭო პოლონეთის ჯარების სარდლათ—«კამენდანტათ» აღიარებს.

1919 წლის თებერვალში გაერთიანებული და

თავისუფალი პოლონეთის პირველი პარლამენტი პილსუდსკის გადაცემს შეფის ფუნქციებს და მას პირველი მარშლის სახელწოდებით აჯილდოვებს.

1920 წელს საბჭოთა რუსეთი პოლონეთს თავს ესხმის და ამ გზით ევროპაში შემოჭრას ლამობს. ბუდიონ-ტუხაჩევსკის ვარშავასთან ახლო მოსულ და ვითომაც გამარჯვებულ ჯარების სასტიკი დამარცხება და უკან გაბრუნება, მარშალ პილსუდსკის სტრატეგიულ ნიჭით და თაოსნობით ხდება.

1923 წელს ივლისში პილსუდსკი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას შორდება და მყუდროთ ცხოვრებას ეწევა თავის პატარა მამულში სულეივკაში.

ის სცენაზე გამოდის ხელახლად 1926 წელში, როცა გადატრიალებას ახდენს და ამის შემდეგ მისი უკანასკნელ დღემდე პოლონეთის ბედი მის ხელშია და ის მისი ნამდვილი დიქტატორია.

«ამ ხანაში მოხდა დაშორება პილსუდსკისა და პოლონელ სოციალისტურ მოძრაობის შორის», ამბობს პოლონელ სოციალისტების ლიდერი ნედზიალკოვსკი პილსუდსკის გარდაცვალების გამო «რობოტნიკში» მის მიერ მოთავსებულ მოწინავე წერილში.

«ომი დაიწყო, ამბობს იგივე ნედზიალკოვსკი, პილსუდსკი ჩამოშორდა პარტიას, მაგრამ დარჩა პარტიის მეგობარი და მისი მოკავშირე. აუარებელ საკითხებში მას მხარს უჭერდა პოლონეთის სოციალისტური პარტია და სახალხო პარტიები. დიდი ენერგია და ძალა შესწირა იმ მუშაობას, რომელსაც მისგან ითხოვდა მთავარი მმართველის მოვალეობა. მან უდიდესი როლი ითამაშა პოლონეთის ცხოვრებაში».

ჰიტლერიზმის გაბატონება

ჰიტლერიზმის გაბატონება, ჰიტლერული გერმანია დგას მსოფლიო ყურადღების ცენტრში და იწვევს იდეიურ თუ პოლიტიკურ გადაჯგუფებ-გადმოჯგუფებას. ამ უდიდესი მოვლენის შესწავლა, მისი მიზეზების გულდასმით გამორკვევა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ამ ქამათ ვიმყოფებით ვნებათა გალვივების ატმოსფერაში, შიშის და დაბნეულობის ხანაში და არა მიუდგომელი ძიების შესაძლებლობაში. დრო კი არის გრძნობათა აღტყინებამ გზა დაუთმოს გონებას, ცარიელ აღელვებამ ფაქტების გაგებას.

რა მოხდა, როგორ მოხდა?

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ჰიტლერიზმის პროცესი. ის სრულიად არ წააგავს სხვადასხვა სახის გადატრიალებას სხვა ქვეყნებში. ის არ დაპატრონებია ძალაუფლებას ერთი დაკვრით, უცაბედათ, შეთქმულობით, აჯანყებით ან გადატრიალებით. ის ვითარდებოდა ათეული წლის განმავლობაში დემოკრატიული რეჟიმის ფარგლებში, იმხრობდა პროპაგანდით და საარჩევნო ბიულეტენებით უფრო და უფრო მეტ ხალხს და ბოლოს მივიდა იმ ზომამდე, რომ გერმანიის ერის უდიდესი ნაწილი მის და მასან მოკავშირე პარტიების მხარეზე აღმოჩნდა. პარლამენტალური წესისამებრ ჰიტლერს უნდა ჩაბარებოდა მართველობის სადავე. ის კანცლერათ ხდება.

ე. ი. ჰიტლერიზმის გაბატონების მიზეზია ხალხის აზროვნობის შეტრიალობა, მისი დემოკრატიიდან განდგომა და თავისი ნებით ანტიდემოკრატიული გეზის აღება.

და ისმება საკითხი: რით აიხსნება აზროვნობის ასეთი ცვლილება, ხალხის ასეთ ნაირათ გამოცვლა და ჰიტლერის წინაშე დაჩოქება?

ამბობენ, რომ ეს მიზეზია ვერსალის ზავიო. უეჭველია ამ გარემოებამაც ითამაშა როლი, საგარეო ურთიერთობამაც შეიტანა ამ საქმეში თავისი წვლილი, მაგრამ მოვლენის მთავარი ძირი ამ სფეროში არ მარხია, ის მხოლოდ დაემატა სხვა სფეროში მდებარე ძირს, გახდა მისი ზედნადები, ჩარჩო და არა გადამწყვეტი ფაქტორი. საგარეო მომენტი ფართე მასისათვის ადვილი გასაგები არ არის; ის ნათლათ ამჩნევს ერთიმეორისაგან ომს და ზავს, ხოლო დიპლომატიური გამწვავება, საერთაშორისო მიკიბულ-მოკიბული დამოკიდებულება სპეციალისტების, პოლიტიკოსების, ასპარეზია, რომლის ნიადაგზე მილიონები აზრს არ იცვლიან, ერთი რეჟიმიდან მეორეში არ ვარდებიან. ხალხის აზროვნობის განვითარება, მისი დაჯგუფება ხდება შინაგანი მომენტის გავლენით; მისი საარსებო ინტერესები მუდამ პირველ ალაგს იჭერენ და ატოკებენ საზოგადოებას. აი ამ ხაზზე ხშირათ ჰიტლერიზმის მომავლინებელათ ასახელებენ უმუშიერობას. მაგრამ ოთხი მილიონი უმუშიერი როგორ გახდა ოც მილიონ ჰიტლერელათ? და რატომ ისინი უეჭველათ რასისტებს უნდა მიმხრობოდენ და არა კომუნისტებს, რომელნიც მათ ყოველ დღე სამოთხეს პირდებოდენ? ამერიკაში უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო მეტია, მაგრამ ფაშიზმი არ აღორძინებულა. საზოგადოთ, თანამედროვე მუშა არც ისე გაუგებარია, რომ ნივთიერ გაჭირვების გამო თავისუფლება დესპოტიაზე გადასცვალოს. მაშასადამე, საზოგადოებაში უნდა გამოჩნდენ ისეთი მოვლენები, რომელნიც ჭარბობენ ყველა სხვა ფაქტორებს, ემუქრებიან საზოგადოების ძირითად სტრუქტურას, მიუცილებლათ აღიარებულ საარსებო პირობებს, რომ ხალხში მოხდეს შესაფერი გადატეხა და მიიღოს ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც გუშინ ებრძოდა. რა ასეთი მოვლენა ამუშავდა გერმანიაში?

ეს მოვლენა არის იგივე რაც ამუშავდა იტალიაში 1920-22 წ. და რაიცა გათავდა მუსოლინის გამარჯვებით. იქ პირველათ მოხდა უცნაური ამბავი: თავისი ნებით მოკვდა ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო და ასპარეზი დაუთმო ოტორიტარულს, ფაშიზმის სახით. ხოლო ეს სიკვდილი გამოიხატა მის საშინაო პოლიტიკაში: აზვირთებული კომუნიზმის და მისი ანტიპოდის ფაშიზმის ბრძოლაში მან ხელი დაიბანა, განზე გადგა, ფაბრიკა და ქუჩა ამათ მიუტოვა და თვითონ მაყურებელის როლი დაიტოვა. მან დაიკავა ხელში სასწორი და ნეიტრალიტეტი აღიარა. ამ მის ფაქტიურ სიკვდილს ჩქარა მოყვა პოლიტიკური სიკვდილი. ფაშიზმი გაბატონდა. აი ეს ფენომენი ამუშავდა გერმანიაში, იწარმოვა ხანგრძლივათ, ათი წლის განმავლობაში, და გათავდა იმავე შედეგებით. განვიხილოთ მისი მსვლელობა ფაქტებით.

ერთხელ, ამ რამდენიმე წლის წინეთ, ჰიტლერს მიტინგზე შეეკითხენ: როგორ შეგიძლიათ გამარჯვებაზე იოცნებოთ, როცა გერმანიაში ამდენი კომუნისტებიაო. ჰიტლერმა უპასუხა: სწორეთ იმიტომ გავიმარჯვებ, რომ ამდენი კომუნისტებიაო! მან სთქვა სოული ჭეშმარიტება, რაიცა შემდეგ ინგლისის ტრედიუნიონთა ლიდერმა სიტრინმა თავის საჯარო სიტყვაში ასე გამოთქვა: «ყოველთვის, როცა თქვენ შექმნით კომუნისტს, იმის პირდაპირ შექმნით ფაშისტს» (1933 წ. ოქტომბერში). ე. ი. ფაშიზმი იკვებება და იზრდება ბოლშევიზმით, ეს მისი აღორძინების და განვითარების წინასწარი პირობაა. ეს თეორიული დებულება ამ რამდენიმე წლის წინეთ ჩვენ დავამტკიცეთ იტალიაში ფაშიზმის გამარჯვების ანალიზით. რასაც ვათავებდით შემდეგი სიტყვებით: «რომის დამარცხება შეიძლება მოსკოვის დამარცხებით» *).

გერმანიის რასიზმის გზანი მოექცა ამავე კალაპოტში, აღორძინდა და გაიზარდა ამავე ხაზზე. ამ ფაქტს დღეს არ მალავენ თვით ჰიტლერელები, პირიქით მათ მიერ გამოქვეყნებული წიგნი ფრანგულ ენაზე სახელწოდებით «შეიარაღებული აჯანყება» ამ დებულების დიდებული დასაბუთებაა **). ამ კრებულში თავმოყრილია მთავარი ოფიციალური დოკუმენტები, რაიცა ნათელყოფენ კომუნიზმის განვითარებას დემოკრატიული რეჟიმის ფარგლებში, მის მიზნებს, საშუალებებს და მოქმედებათა მრავალნაირ ქსელს. ეს მასალები ფანტასტიურათ ეგონებათ იმათ, ვინც არ იცნობს ლენინის პარტიას, მის თეორიას და პრაქტიკას რუსეთში, ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს. რა იყო მათი პირდაპირი მიზანი? შეიარაღებული აჯანყება და ამ ხაზზე გადაწყობა მთელი პარტიული აპარატების. ე. ი. ხელისუფლების ხელში ჩაგდება რითაც და რათაც უნდა დაჯდეს ეს—შეადგენდა ბოლშევიკების მთავარ მიზანს. 1905 წ. იმათ თავის ფრაქციის ყრილობაზე მიიღეს, «რომ პროლეტარიატის ორგანიზაცია შეიარაღებული აჯანყებით თვითმპყრობელობასან საბრძოლველათ წარმოადგენს პარტიის მთავარ მიზანს მიმდინარე მომენტში». ამ ბრძოლის საშუალებანია «პროლეტარიატის შეიარაღება», «აჯანყების პლანის დამუშავება», «დამკვრელი დრუჟინების შედგენა» და სხ. ერთი სიტყვით «პარტია უნდა იყოს სავსებით მილიცია, თვითეული მისი წევრი შეიარაღებული მებრძოლი» ***). ყველა ეს დადგენილებანი იღებოდა ცარიზმის ნიადაგზე, სადაც არავითარი ლეგალური საშუალება არ იყო პარტიის ორგანიზაციის და აგიტაციისათვის. თუმცა ამ უტოპიას არასოდეს არავითარი პოლიტიკური ნაყოფი არ გამოუღია. არც ერთი რევოლიუცია, (არც 1905 წ. და არც 1917 წ.) ამ გეგმით არ დაწყებულა და არც ბოლშევიკების მეთაურობა ყოფილა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს იყო რეცეპტი დაწერილი დესპოტიისათვის.

და აი, გერმანიის კომუნისტებს, რუსების კარნახით უეჭველია, ყველა ეს ტაქტიკური დადგენილებანი გადმოუტანიათ და აუმუშავებიათ დემოკრატიულ რეჟიმში. როგორ? სულ უბრალოთ, ლეგალურათ არსებული პარტიის გვერდით იმავე პარტიისაგან შეუქნიათ არალეგალური ორგანიზაციები. პარტია ლეგალურათ აწარმოებდა აგიტაციას, საარჩევნო კამპანიას, მსგავსათ ყველა სხვა პარტიებისა, ხოლო ჩუმათ აწყობდა დრუჟინებს, ტერორისტულ ჯგუფებს, შეიარაღებას, სამხედრო და სამრეწველო შპიონაჟს, ტერორს, ყალბი პასპორტების და მოწმობების ფაბრიკაციას, თავსდასხმებს, იარაღების საწყობების გაჩენას და სხ. არა ერთი და ორი პროცესი ყოფილა სახელმწიფო მოღალატეობისათვის, სადაც დამტკიცდა კომუნისტების მიერ სამხედრო და სამრეწველო სეკრეტების მოპარვა მოსკოვის სასარგებლოთ. მარტო ერთ წელიწადს (1931 წ.) გაიმართა 111 პროცესი, დაუსჯიათ 150 კომუნისტი ამ დანაშაულობისათვის. ერთ დიდ სამრეწველო დაწესებულებაში ოთხი წლის განმავლობაში აღმოუჩენიათ (1926-1930 წ) 134 მძიმე სამრეწველო შპიონაჟი, გამართულა ამ ნიადაგზე 350 პროცესი. პარტია გამოდიოდა როგორც ფილიალი მოსკოვის ხელისუფლების, ამსრულებელი მისი ბრძანებების. ათეული წლის განმავლობაში აშკარათ დგებოდა პარტიზანული რაზმები სხვადასხვა სახელწოდებით, ხოლო მათი საჭიროებისათვის ჩუმათ ხდებოდა ყაზარმების გაქურდვა, იარაღების შეძენა, ასაფეთქებელ მასალათა ფაბრიკაცია, ტყვიისმფრქვეველების, თოფების, პატრონების და სხვა საომარი მასალების დაგროვება. პარტიის ტერორისტების მიერ მარტო პრუსიის პოლიციის შემადგენლობიდან მოუკლავთ და დაუჭრიათ ორიათასამდე. მოსკოვის რაზმები დაეპატრონენ ქუჩას, შეძვრენ ყველა სახელმწიფო აპარატში, მათთვის ღია იყო ყველა საიდუმლოებანი, ყველა ყაზარმა, ჯარის და პოლიციის ნაწილები.

1928 წ. იმპერიის კომისარმა კიუნცერმა საჯარო კრებაზე წაიკითხა პარტიის ც. კ. ბრძანება: «კომუნისტური პარტიის ძირითადი ორგანიზაცია მოწოდებულია იმუშაოს მეტათ საიდუმლოთ: მათი ორგანო უნდა რიგდებოდეს საიდუმლოთ. ყველა მუშამ იცის, რომ მომზადება სამოქალაქო ომის, დაწყობა ასეულების და სხვა ორგანიზაციების ითხოვენ ძირითადი ორგანოების დახმარებას». აქვე კომისარი უმატებს: არსებობს კონსპირატიული ჩეკა, რომელიც იმყოფება მოსკოვის გეპეუს განკარგულებაში და რომლის დანიშნულებაა კონტროლი გაუწიოს ბოლშევიკური მუშაობის ყველა აგენტებს. ამ საქმეში ჩაბმულია საბჭოთა კომერციული დელეგაციის მოსამსახურენი, რომელთა რიცხვი რვაას აღწევს *).

რა პოზიცია დაიჭირა დემოკრატიულ მთავრობამ ამ საფრთხის წინაშე? სრულიად მოულოდნელი; ის სჯიდა დანაშაულობის პირდაპირ ჩამდენთ, ხოლო თვით პარტია, მისი ბელადები და ორგანიზაციები რჩებოდა ხელშეუხებელი, კანონის მფარველობაში დარჩენილნი და თავისი დამარღვეველი მუშაობის გამაგრძელებელნი. ლეგალური პარტიის მიერ არალეგალური მუშაობის წარმოებას ითმენდა ხელისუფლება დემოკრატიის სახელით! ეს იყო «დემოკრატიული კრეტინიზმი», რასაც არავითარი კავშირი არ აქვს ნამდვილ ხალხურ დემოკრატიასან. საქართველოში გვქონდა დემოკრატიული რეჟიმი, მაგრამ კომუნისტები ასეთი მუშაობისათვის სასტიკათ იდევნებოდა, მათი პარტია აიკრძალა, მათ წაერთვათ ყოველივე ასპარეზი მუშაობისათვის. ხალხური დემოკრატია არის მებრძოლი, შემტევი, იცავს თავს აქტიურათ და ებრძვის მტერს მთელი სახელმწიფო აპარატებით. ხოლო გერმანიაში კი, როგორც ერთხელ იტალიაში, დემოკრატიას დაეცა დამბლა, გაიჟღინთა ლიბერალური ცრუმორწმუნოებით და სეირივით უყურებდა დემოკრატიიის ნგრევას, მასან ერთათ გერმანიის გასაბჭოებას და მოსკოვის ბატონობაში გადაცემას.

ამ უილაჯობას ხელს უწყობდა რაპალო, გერმანიის ხელშეკრულობა მოსკოვთან საფრანგეთის წინააღმდეგ. ეს «სახელმწიფო მოსაზრება» კარს უღებდა კომინტერნს გერმანიაში დაუბრკოლებლათ სამუშაოთ, სწორეთ ისე როგორც დღეს საფრანგეთ-მოსკოვის ხელშეკრულობა გერმანიის წინააღმდეგ ფართე კარებს უღებს კომინტერნს საფრანგეთის ბოლშევიზაციისათვის. გერმანიაში, ისე როგორც დღეს საფრანგეთში, ბოლშევიკები ითვლებოდენ მოკავშირეებათ და მეგობრებათ. ამიტომ მთავრობამ საშინაო გადატრიალების უდიდესი საფრთხე ვერ დაინახა, სამაგიეროთ საზოგადოებამ დაინახა და იწყო თავისი საშუალებით თავის დაცვა. ფაშისტური ორგანიზაციები მრავლდება, ფართოვდება და ანტიკომუნისტურ ტალღათ ქვეყანას ევლინება. როგორ ხვდება ამას ხალხი? პირველათ უარყოფითათ; ჰიტლერ-ლიუდენდორფის «პუჩი» სასტიკათ მარცხდება (1923 წ.). ე. ი. ხალხი რჩება ჯერ კიდევ ერთგული დემოკრატიული რეჟიმისადმი და ხელს უწყობს მის წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებათა დამარცხებას (1919-1923), საიდანაც უნდა ყოფილიყო ის. მაგრამ როცა კომუნისტური პარტია ავიდა ერთ მილიონ წევრამდე, მათი მიმდევართა რიცხვი გაიზარდა ექვს მილიონამდე, როცა შეიარაღებული აჯანყების მზადება ფართე მასშტაბით დაიწყო და კომუნისტური გადატრიალების საფრთხე აშკარა გახდა, ახლა კი მასები ერთმაშათ სტოვებენ ძველ პოზიციას და გადადიან ჰიტლერიზმის ბანაკში. ერთი მეორეს უპირდაპირდება არა მთავრობა და კომუნიზმი, არამედ ჰიტლერიზმი და კომუნიზმი, ორივე ერთნაირი მეთოდებით და ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლი. მათ შორის გაიმართა დუელი. ათი წლის განმავლობაში კომუნისტებმა მოკლეს და დასჭრეს ოცი ათასი ჰიტლერელი. სამაგიეროს უხდიან ესენიც. ხელისუფლება კი ამ კერძო ჯგუფების ასე სამაგალითოთ თარეშობას შორიდან უცქერის. საკითხი დაისვა: ვისი ძალმომრეობა სჯობს, კომუნისტების თუ რასისტების. ერის დიდმა უმრავლესობამ არჩია უკანასკნელი, ვინაიდან აქ კიდევ რჩებოდა მას თავისი ქონების ერთი ნაწილი მაინც, ხოლო კომუნისტური მთავრობა კი მას აღარაფერს შეარჩენდა და მთელ გერმანიას რუსეთის მდგომარეობაში ჩააყენებდა. ეს იყო ერის დიდი დრამა, მისი ღრმა სულიერი განცდა. ის დიდხანს ეძებდა გამოსავალს, დიდხანს ყოყმანობდა და ბოლოს იძულებული გახდა ორ დესპოტიას შორის ჰიტლერიზმი უფრო მისაღებათ დაესახა. ხალხის აზრი შეტრიალდა რასისტების სასარგებლოთ. ჰიტლერიზმი მოვიდა, მოვიდა გრიგალივით და წალეკა როგორც კომუნიზმი, ისე მისი მომთმენი და მოყურადე დემოკრატიზმი. ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო მოკვდა ჯერ სულიერათ, შემდეგ პოლიტიკურათ, რასისტულ-ოტორიტარული დაიბადა.

თვალსაჩინო გაკვეთილი, მსოფლიო გაკვეთილი; მას ვერ დაინახვენ მხოლოდ განწირულნი...

ნ. ჟ.

რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულება

ამ ხელშეკრულებას ფართედ გამოეხმაურა ევროპის, თუ სხვა ქვეყნების პრესა, მაგრამ განსაკუთრებული ხასიათის ახსნა-განმარტება მისცეს მას საბჭოთა პუბლიცისტებმა.

გაზეთ «იზვესტიის» რედაქტორი და მთავარი თანამშრომელი—კარლ რადეკი 10 მაისის ნომერში სწერდა, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არა თუ 18 წელში, არამედ შემდეგ, უფრო მოგვიანებითაც არ ქონდათ წარმოდგენილი ისეთი პირობები და მდგომარეობა, რომელშიდაც მათ მოუხდებოდათ პროლეტარულ სახელმწიფოსადმი მიმართვა და მისი დახმარების თხოვა. საბჭოთა კავშირმა თავისი საკუთარი ძალებით შექმნა მსხვილი წარმოება და ინდუსტრია, საკუთარი ძალებით შეაიარაღა მთელ მსოფლიოში უძლიერესი ჯარი, რომელიც თავისუფლათ შესძლებს დაიცვას საბჭოთა რუსეთი ყველა მტრებისაგან, რამდენიც არ უნდა იყოს მათი რიცხვიო. თუ დღეს საბჭოთა მთავრობა სდებს ურთიერთ შორის დახმარების ხელშეკრულებას, ეს არა იმიტომ, ვითომც მას სხვის დაუხმარებლათ არ შეეძლოს ქვეყნის დაცვა, არამედ იმიტომ, რომ სამხედრო ავანტიურის მოტრფიალეთ დაანახვოს, რომ მათ წინააღმდეგ საბჭოებთან სხვებიც იქნებაო. ამასვე იმეორებენ და ასევე ბაქაბუქობენ «პრავდა»-ს თანამშრომელნიც ბუხარინის მეთაურობით.

ამნაირათ, კარლ რადეკს და ბუხარინს თუ დავუჯერებთ, საბჭოთა რუსეთი დღეს წარმოადგენს უდიდეს ძალას, რომელსაც არავისი არ ეშინია და რომელსაც შეუძლია მარტოთ გაუმკლავდეს მის წინააღმდეგ ერთად ამხედრებულ ყველა მტრებს, და ამიტომაც არის, რომ ეხლა ბურჟუაზიული სახელმწიფონი ჩვენ დახმარებისათვის მოგვმართავენო.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორია საქმის ნამდვილი ვითარება და რა უტყუარი ფაქტის წინაშე ვიმყოფებით ჩვენ.

გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტების გამარჯვებას და ჰიტლერის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას შედეგათ მოყვა არა თუ ბერლინ მოსკოვის ერთი მეორისაგან დაშორება და რაპალოს ხელშეკრულების სავსებით გაუქმება, არამედ გერმანიის მიერ ერთა ლიგის მიტოვებაც. ამავე დროს გერმანიაში სწარმოებდა გაშმაგებული პროპაგანდა დაკარგულ, თუ გერმანელებით დასახლებულ სხვა მახლობელ ტერიტორიების შემოსაერთებლათ და აღმოსავლეთით რუსეთის ხარჯზე ექსპანსიის მოსახდენათ. ჰიტლერი და რასისტები ყველა ამით არ კმაყოფილდებოდენ და საფრანგეთსაც რევანშით ემუქრებოდენ. ჰიტლერის მიერ იარაღის ასეთ ქღარუნმა ყველა დააფიქრა, მაგრამ ყველაზე უფრო ამან საბჭოთა რუსეთი დააშინა.

საბჭოთა რუსეთს ისედაც გართულებული ქონდა მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მას იაპონია ემუქრებოდა, ეხლა მას მეორე მხრიდან გერმანია მიადგა და ის მეტათ სახიფათო პირობებში ჩავარდა. ის დაფრთხა, დაშინდა და გერმანიის საწინააღმდეგოთ და მისი სანეიტრალიზაციოთ მოკავშირეების ძებნა დაიწყო. ასეთ მოკავშირეებათ მან პირველ რიგში საფრანგეთი და ჩეხოსლოვაკია დაისახა. მაგრამ ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის დიდი ხნის განმავლობაში და ყველაზე უფრო ანტიბოლშევიკურათ განწყობილ ქვეყნათ საფრანგეთი ითვლებოდა. ამიტომ მასთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყება და დაახლოვება არც ისე ადვილი საქმე იყო. საჭირო შეიქნა ვინმე შუამავალის გამონახვა, რომელიც რუსეთის და საფრანგეთის შორის მოლაპარაკების ინიციატივას თავის თავზე აიღებდა. ასეთ შუამავლათ ლიტვინოვმა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი—ბენეში აირჩია და მას სთხოვა თავის თავზე ეს მისსია აეღო.

მაგრამ სანამ საფრანგეთი ბენეშის საშუალებით მოსკოვს პასუხს გასცემდა და რაიმე გარკვეულ გზას დაადგებოდა, მას წინასწარ უნდოდა გამოერკვია პოლონეთის, ინგლისის და იტალიის პოზიცია და დამოკიდებულება საფრანგეთის და გერმანიის შორის მოსალოდნელ საომარ კონფლიქტის დროს.

ბარტუს მგზავრობით ვარშავაში 1934 წლის დასაწყისში გამოირკვა, რომ საფრანგეთს პოლონეთის დახმარების იმედი არ უნდა ქონებოდა, ამას ხელს უშლიდა გერმანიის და პოლონეთს შორის არსებული შეთანხმება. დადებითი პასუხი თავის წინადადებებზე ბარტუმ ლონდონშიდაც ვერ მიიღო. ბრიტანეთის მთავრობას კონტინენტზე ახალი ვალდებულებების თავის თავზე აღება არ სურდა. წინააღმდეგ, ის გერმანიასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა და მას ამა თუ იმ დათმობებით უკან ერთა ლიგაში ეპატიჟებოდა. თან საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკებაც სასურველათ ვერ მიმდინარეობდა.

მხოლოდ ამის შემდეგ იყო, რომ საფრანგეთმა ყური ათხოვა საბჭოების თხოვნას და წინადადებებს და დაიწყო მასთან თანამშრომლობაზე და დაახლოვებაზე ფიქრი. პირველათ განზრახული იყო დაედოთ აღმოსავლეთის პაქტი, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებდენ: საბჭოთა რუსეთი, გერმანია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები. ამ პაქტის გარანტია კი საფრანგეთი იქნებოდა. მაგრამ როცა გერმანიამ და პოლონეთმა კატეგორიული უარი განაცხადეს საბჭოებთან უზრუნველყოფის რაიმე ხელშეკრულება დაედოთ, მაშინ ბარტუ დასთანხმდა რუსეთთან ურთიერთ დახმარების პაქტი შეეკრა.

ბარტუს სიკვდილის შემდეგ მდგომარეობა ხელახლათ იცვლება. ბარტუს მოადგილე—ლავალი არ ეპყრობა დადებითად არც აღმოსავლეთის პაქტს

---

*) იხ. «ბრძოლა», მარტი 1927 წ. «დემოკრატიის კრიზისი».

**) Revolte Armee, edition Eckart, ბერლინი.

***) იხ. ოქმები მესამე ყრილობის და ლონდონის გამაერთიანებელი კონგრესის.

*) Matin, 1928 წ. 17 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც მით უფრო რუსეთ-საფრანგეთს შორის ურთიერთ დახმარების პროექტს. ლავალის აზრით საფრანგეთისათვის გაცილებით მეტათ მნიშვნელოვანი და საინტერესოა თანამშრომლობა ინგლისთან და შეთანხმება და დაახლოვება იტალიასთან. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩეხოსლოვაკიის, თუ საფრანგეთის მთავრობის ერთი ნაწილის (ჰერიო და მისი თანამოაზრენი) გავლენით მოსკოვთან მოლაპარაკება არ შეწყვეტილა და მისი ასე თუ ისე დამთავრება დაკავშირებულ იქნა ინგლის-იტალიასთან დამოკიდებულებისაგან.

რომში და ლონდონში ლავალის მგზავრობის შემდეგ (1935 წლის, თებერვალი) პარიზს და მოსკოვს შორის მოლაპარაკება დროებით შეჩერებულ იქნა, მაგრამ 16 მარტის ჰიტლერის დეკლარაციამ ვერსალის ხელშეკრულების უარყოფის და გერმანიაში საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ საფრანგეთი ძალზე აალელვა და გაალიზიანა. ამას ზედ დაერთო ის, რომ ინგლისის მთავრობამ, ჰიტლერის ამ აქტის წინაალმდეგ პროტესტის გამოცხადების მაგიერ, ბერლინში მოსალაპარაკებლათ გაგზავნა ორი თავისი მინისტრი—საიმონი და იდენი. ყველა ამან მეტათ შეუწყო ხელი რუსეთ-საფრანგეთს შორის პაქტის შესახებ ლაპარაკის განახლებას.

ეხლა უკვე საბჭოთა რუსეთი შეეცადა შექმნილ მდგომარეობით ესარგებლა და წინადადება მისცა საფრანგეთს ურთიერთ დახმარების პაქტი გავრცელებულიყო აზიაზედაც და ამა თუ იმ სამხედრო კონფლიქტის დროს ერთ მხარეს დახმარება აღმოეჩინა მეორესათვის ერთა ლიგისადმი წინასწარ მიუმართავად და მისი დასტურის მიუღებლათ. საფრანგეთმა მოსკოვს უარი უთხრა არა მხოლოდ იმაზე, რომ ის მას დახმარებოდა იაპონიის წინაალმდეგ, თუ ეს უკანასკნელი რუსეთს ომს აუტეხდა, არამედ ყოველგვარი სხვა განსაზღვრული ურთიერთ დახმარება წინასწარ გარჩეული და ნებადართული უნდა ყოფილიყო ერთა ლიგის მიერ. მხოლოდ ამ პროცედურის საშუალებით შეიძლებოდა ლოკარნოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება და მისი ხელუხლებლობა, რაც საფრანგეთისათვის დიდ ინტერეს წარმოადგენდა.

და სანამ მოსკოვს და პარიზს შორის ასეთი ხასიათის ვაჭრობა და მოლაპარაკება სწარმოებდა, ინგლისის მინისტრი—საიმონიც დაბრუნდა ბერლინიდან სულ სხვა ინფორმაციით და გაცილებით უფრო პესიმისტურათ განწყობილი, ვიდრე ეს მას წინეთ წარმოედგინა.

ამის შემდეგ იყო რომ შეიკრიბა კონფერენცია სტრეზაში და ადგილი ქონდა ერთა ლიგის საბჭოს ექსტრაორდინალურ სესიას, სადაც დამყარებულ იქნა ინგლის-საფრანგეთ-იტალიის ერთი ფრონტი და მოხდა პრინციპიალური შეთანხმება ინგლის-საფრანგეთის სამხედრო საჰაერო კონვენციის და საფრანგეთ-იტალიის სამხედრო კონვენციის შესახებ 1935 წლის აპრილში.

ეხლა საფრანგეთს ზურგი გაუმაგრდა და მას შეეძლო უფრო გაბედულათ და გარკვეულათ ლაპარაკი. ამიტომაც იყო, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა—ლავალმა გადასწყვიტა უკვე შედგენილ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთ დახმარების პაქტის პროექტის შინაარსის ნათლათ განსაზღვრა და მისი შეზღუდვაც. და რადგანაც პაქტის ტექსტის ხელახალი გადასინჯვა დიდ ხანს და გრძელ მოლაპარაკებას მოითხოვდა, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებასთან დართოდა განსაკუთრებული პროტოკოლი, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნებოდა და ამავე დროს მას განსაზღვრავდა და შეზღუდავდა.

ამ პროტოკოლის ძალით რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებას მხოლოდ ერთათ ერთი შემთხვევა აქვს მხედველობაში: გერმანიის თავდასხმა საბჭოთა რუსეთზე, ან საფრანგეთზე. ესე იგი, იაპონია, ან, მაგალითად, პოლონეთი რომ თავს დაესხას რუსეთს. ამ უკანასკნელს ამ ხელშეკრულობით არ აქვს უფლება საფრანგეთს დახმარება მოსთხოვოს. საფრანგეთის ვალდებულებაა მხოლოთ არ დაეხმაროს თავდამსხმელ სახელმწიფოს. ან და საბჭოთა რუსეთს გერმანიასთან კონფლიქტი რომ მოუხდეს გერმანიის ბალტიის სახელმწიფოებზე თავდასხმის გამო, 2 მაისის ხელშეკრულება არ შეიძლება ძალაში შევიდეს. გარდა ამისა პროტოკოლში არის სპეციალური მუხლი, რომელიც გარკვევით ამბობს, რომ რუსეთ-საფრანგეთის პაქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ლოკარნოს ხელშეკრულებას.

მიუხედავათ საბჭოთა დიპლომატიის დიდი ცდისა, პროტოკოლის ყველა მუხლები დარჩა უცვლელი. მოსკოვს არ ქონდა გამოსავალი: მას ან უნდა მიეღო ხელშეკრულება მისი შემზღუდავი პროტოკოლით, ან და ეს ხელშეკრულება სულ არ დაიდებოდა. მან სულ არარაობას არჩია ეს შეზღუდული ხელშეკრულება.

16 მაისს რუსეთ და ჩეხოსლოვაკიის შორის პრაღაში დაიდვა სავსებით იმავე შინაარსის და ხასიათის პაქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთ-საფრანგეთის წარმომადგენლებმა 2 მაისს პარიზში. რუსეთ-ჩეხოსლოვაკიის პაქტი შემზღუდველია აგრეთვე მით, რომ მის პროტოკოლში ნათქვამია: ურთიერთ დახმარება მაშინ იქნება სავალდებულო, თუ თვით საფრანგეთი დაეხმარება აგრესივობის მსხვერპლსო. ესე იგი, გერმანიის რუსეთზე თავდასხმისას, ჩეხოსლოვაკია უნდა დაეხმაროს რუსეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი დაინახავს შესაძლებლათ ომში ჩარევას და რუსეთის მხარეზე დადგომას.

რუსეთ-საფრანგეთის პაქტი პარიზში იქნა ხელმოწერილი მათი წარმომადგენლების მიერ, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ამავე დროს საჭიროთ დაინახა ლავალის მოსკოვში მიპატიჟება, მასთან აზრთა გაცვლა გამოცვლა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, საფრანგეთთან კიდევ უფრო დაახლოვება. ბოლშევიკები გრძნობენ, რომ თუ საფრანგეთმა უფრო გარკვეული ხაზი არ აიღო რუსეთის მიმართ და მასთან დასაკავშირებლათ, 2 მაისის პაქტით მოსკოვი შორს ვერ წავა და ამ პაქტს შესაძლებელი ბევრნაირი ინტერპრეტაცია არარაობათ აქცევს.

იმ კომპეტენტური პირების თქმით და ცნობით, რომელნიც ლავალს მოსკოვში ახლდენ, საბჭოთა პოლიტიკის ხელმძღვანელთ ყოველნაირი ზომები მიუღიათ, რათა ლავალზე სათანადო შთაბეჭდილება მოეხდინათ და საფრანგეთის გული მოეგოთ. ლავალს ბევრ სხვა საკითხთა შორის რუსეთის ძველი ვალების და რელიგიოზური თავისუფლების საკითხიც წამოუყენებია და ბოლშევიკები ამას უარისყოფით არ შეხვედრიან. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო არის ის კომუნიკე, რომელიც თვითონ ლავალს შეუდგენია და დაუწერია, ბოლშევიკებს კი ის უსიტყვოთ მიუღიათ და შემდეგ საჯაროთ გამოუცხადებიათ.

ამ კომუნიკეში ბოლშევიკები ლავალთან ერთად კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმ ხელშეკრულების გამო, რომელიც დაიდვა პარიზში 2 მაისს, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ორივე მხარე დაიცავს მშვიდობიანობას კოლექტიური უზრუნველყოფის ორგანიზაციის საშუალებით. კომუნიკეში ხაზგასმით არის აგრეთვე ნათქვამი, რომ სტალინს ესმის და ის სავსებით ეთანხმება ნაციონალურ თავდაცვის პოლიტიკას, რომელსაც დღეს აწარმოებს საფრანგეთი, რათა მისი შეიარაღებული ძალები მისი უზრუნველყოფის დონეზე იყოსო.

სტალინის ამ საჯარო განცხადებამ ბევრზე მოახდინა შთაბეჭდილება და ეს განცხადება ისე გაიგეს, თითქოს სტალინი და ბოლშევიკები სერიოზულათ ფიქრობდენ საფრანგეთის კომუნისტებს შესაფერი ინსტრუქციები მისცენ და მით მათი ეხლანდელი საერთო მოქმედების ხაზი შესცვალონ. ესე იგი, ფრანგ კომუნისტებმა თავი უნდა გაანებონ იმ ბრძოლას, რომელსაც ისინი დღემდინ აწარმოებდენ სამხედრო კრედიტების, ორი წლის ვადიან სამხედრო სამსახურის წინაალმდეგ და სხვა, და ამ საკითხებში მხარი უნდა დაუჭირონ მთავრობის ნაციონალურ თავდაცვის პოლიტიკასო. ასეთი რამ კი უთუოთ მოასწავებს, როგორც საბჭოთა რუსეთის შინაურ პოლიტიკის, ისე ევროპის კომუნისტების დიდ ევოლიუციასო.

ფრანგი და ჩეხოსლოვაკელი კომუნისტები კი თავისებურ ახსნა-განმარტებას აძლევენ ლავალ-სტალინის განცხადებას. ისინი ჩვეულებრივ ხოტბას ასხამენ «გენიალურ ბელადს» «გენიალური» აზრებისათვის. ჩვენ, ამბობენ კომუნისტები, არა ბურჟუაზიული ნაციონალური თავდაცვისათვის ვიბრძვით, არამედ მომხრე ვართ რევოლიუციური თავდაცვისო. ჩვენ შევებრძოლებით ორი წლის ვადიან სამხედრო სამსახურს და უარს ვიტყვით სამხედრო კრედიტებზე, რადგანაც ამით მზადდება ფრანგული რაიხსვერი, ძლიერდება სოციალურ-პოლიტიკური რეაქცია და ახლოვდება ფაშიზმის გამარჯვებაო. თავდაცვის პრობლემას პოლიტიკური ხასიათი უნდა მივცეთ. ჩვენი თავდაცვა უნდა ხდებოდეს მუშების კონტროლის ქვეშ, რევოლიუციონერებისათვის ძლიერი ჯარი პირველ ყოვლისა ნიშნავს ჯარს, რომლის რიგებიდან განდევნილია რეაქციონური ოფიცრობა და ჯარის კაცთ აქვთ მოქალაქის ყველა უფლებები. ასეთი ჯარი ჩვენ უნდა შექვნათ და დავიპყროთო.

ცხადია, ლავალ-სტალინის კომუნიკეს შინაარსი ერთია, ფრანგ-ჩეხოსლოვაკელ კომუნისტების ახსნა-განმარტება კი სულ მეორე რამ და დიამეტრალურათ მის წინაალმდეგაა. ლავალი ტყვილათ შეეცადა მის მიერ დაწერილ კომუნიკესათვის საჯარო დასტური სტალინსაც მიეცა, რომ მით ბოლშევიკ კომუნისტებისათვის წაერთვა შესაძლებლობა ემტკიცებიათ, საბჭოთა მთავრობა სხვაა, კომინტერნი და კომუნისტური პარტიები კიდევ სხვაა და ამით ფრანგი კომუნისტები განეარაღებია.

ევროპის საზოგადოებრივი აზრი კიდევ ერთხელ გახდება იმის მოწამე, რომ სტალინის და ბოლშევიკების ხელმოწერას, მათ კერძოთ, თუ საჯაროთ ნათქვამს არავითარი ღირებულება არ აქვს. როცა მათ დასჭირდებათ ხელმოწერას უკან წაიღებენ, ნათქვამს გადათქვამენ, ან მას სულ სხვა შინაარს მისცემენ, ერთს გეტყვიან, მაგრამ ჩუმათ მეორეს და საწინააღმდეგოს გააკეთებენ.

მაგრამ რათ დასჭირდა სტალინს ისეთი კომუნიკეს დასტური, რომელიც მის პრესტიჟს და ავტორიტეტს ფრანგ კომუნისტებში, თუ არ დასცემდა და შებღალავდა, არაფერს არ შემატებდა?

დასჭირდა მიტომ, რომ მიუხედავათ რადეკების და ბუხარინების ბაქიობისა, ვითომც საბჭოთა რუსეთი უძლეველ ძალას წარმოადგენდეს და მას ყველანი დახმარებისათვის მიმართავდეს, მოსკოვი სინამდვილეში დღეს ომის დიდ საშიშროების წინაშე იმყოფება; სტალინს და ბოლშევიკებს ამის გამო მუხლებში აბლანკალებს და ძალაუფლების შენარჩუნებისათვის მზათ არიან დროებით ყველაფერზე ხელი მოაწერონ და ყოველნაირი ვექსილები გასცენ.

მაგრამ ბოლშევიკების თვალთმაქცობას და ორმაგ ბუღალტერიას შეიძლება ყოველთვის გასავალი აღარ მიეცეს. მით უფრო, რომ ლავალი გერმანიასთან დაახლოვების დიდი მომხრეა.

რუსეთ-საფრანგეთის 2 მაისის ხელშეკრულების ბედი, მისი განაღდება, ან მისი არარაობათ ქცევა უმთავრესათ დამოკიდებულია იმისაგან, თუ რა პოზიციას დაიკავებს გერმანია საფრანგეთის მიმართ ერთი მხრივ და რა საერთო სამოქმედო ხაზი ექნება ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას გერმანიის მიმართ მეორეს მხრივ.

გ. გვარჯალაძე.

კავკასიის საკითხი და რუსეთი

(თეზისები მიღებული ერთხმად კავკასიის კონფედერაციის კონფერენციაზე)

1. საბჭოთა კავშირი სავსეა სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული ხასიათის შინაგანი წინააღმდეგობებით და იძულებულია არსებობის შესარჩენად დაეყრდნოს ხიშტებზე. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მის ჩამოსაგდებად უცდის ხელსაყრელი პირობების წარმოშობას.

2. საბჭოთა ხელისუფლება თავისი პოლიტიკით ხელს უწყობს ასეთ პირობების წარმოშობას: შინაურობაში მთელი სახალხო სიმდიდრისა და შრომის ექსპროპრიაციით, ხოლო გარეთ რუს მეფეთა საგარეო პოლიტის გაგრძელებით.

3. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა თავიდანვე, პეტრე პირველის დროიდან, მიმართული იყო იქეთკენ, რომ უზრუნველ ეყო თავისთვის თავისუფალი გასავალი თბილ ზღვებისაკენ და მით გადაქცეულიყო ძლიერ მსოფლიო სახელმწიფოთ. ეს გზა მიდიოდა ევროპაზე გავლით, ესე იგი ევროპის დავაში ჩარევით მოკავშირეებისა და დახმარების მოპოება თავის მიზნის მისაღწევათ. მეფის რუსეთმა, ვერ შესძლო რა ამ ამოცანის გადაჭრა ვერც წყნარი ოკეანის და ვერც დარდანელის მიმართულებით, დაუტოვა იგი გადასაჭრელათ საბჭოთა რუსეთს. ძველი ამოცანა, ძველი გზა ძალაში რჩება.

4. საბჭოთა რუსეთი პირველად ლამობდა ამ ამოცანის გადაჭრას რევოლიუციონური გზით, კომუნიზმის გავრცელებით შორეულ და ახლო აღმოსავლეთში, მეზობელ ხალხებისა და ტერიტორიების გასაბჭოებით, პოლონეთის იარაღით დაპყრობით და მისი საბჭოთა რუსეთთან შემოერთებით. ამ გზაზე იგი სავსებით დამარცხდა და იძულებული გახდა პირი ებრუნებია ევროპისაკენ და აქ ეძებნა ახალი მოკავშირენი.

5. ვერ შესძლო რა საუკუნოების მანძილზე მომდინარე რუსული ამოცანის რევოლიუციონური გზით გადაჭრა, საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს მის გადაჭრას კონსერვატიული გზით, რისთვისაც იგი დროებით იცავს ევროპის სტატუს-ქვოს და, ებრძვის რა აზიაში მობინადრე ხალხების ეროვნულ გამოფხიზლებას, აშკარად უჭერს მხარს ამ ჟამად გამარჯვებულ იმპერიალისტურ ძალებს.

6. საბჭოები, უარყოფენ რა ხალხურ და ეროვნულ ნებისყოფას, გამოდიან რა გადაჭრილ მოწინააღმდეგეებათ დაჩაგრულ ერებთან თანასწორ საფუძველზე ხელშეკრულების დადების და სავსებით აგრძელებენ რა მეფეთა იმპერიალიზმს, იძულებულნი არიან აშკარად დადგენ ძველი რეჟიმის გზაზე და მისი საგარეო პოლიტიკის მეთოდები თავისათ გამოაცხადონ.

7. ამ ისტორიულად შექმნილ პირობების ზეგავლენით საბჭოთა რუსეთი ხდება სამხედრო სახელმწიფოთ და ამ მხრით სდგამს წინ დიდ ნაბიჯს, განსაკუთრებით სამხედრო-ტექნიკურს. მილიტარიზმი და იმპერიალიზმი არის საბჭოთა მპყრობელების გაბატონებული იდეოლოგია, რომელიც დასრულდა საგარეო პოლიტიკის ახალი ორიენტაციით და მოელის თავის დასრულებას შინაურობაში ოპოზიციონურ გლეხობის შემორიგებით რომელიმე ფრაშეკვეცილ დროებითი რეფორმით.

8. საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო სახელმწიფოთ გადაქცევა—ეს სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია არარუს ხალხთათვის, რომლებითაც დასახლებულია რუსეთის იმპერია და რომლებიც იბრძვიან თავის გასანთავისუფლებლად.

9. ამ ხალხებს, როგორც დამონებულთ და დევნილთ, არა აქვთ დამმონებელთა ტრადიცია, არც ინტერესი მათი პოლიტიკის მიმართ, არა აქვთ არც იმპერიალისტური, არც რეაქციონური იდეოლოგია და არიან ბუნებრივი მატარებელნი პროტესტის, თავისუფლების და რევოლიუციის.

ეროვნული მოძრაობა არსებითად არის ხალხური მოძრაობა და მისი გამარჯვება ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტის გამარჯვებას. ამიტომ ეროვნული იდეა, წინაალმდეგ გაბატონებულ ხალხების ასეთივე იდეიისა, არის მატარებელი პროგრესის, დემოკრატიის, საერთაშორისო სოლიდარობის და საყოველთაო თავისუფლების. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ის არის ყველა უკმაყოფილო ელემენტების დამრაზმელი ძალა და ის საძირკველი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს საბჭოთა კავშირის ხელახალი რუქა აგებული ერისა და ხალხის ნებისყოფის საფუძველზე.

10. დამონებულ ხალხთა ეროვნული მოძრაობა, ემუქრება რა საბჭოთა ხელისუფლებას, არავითარ საშიშროებას არ უქმნის სწორად გაგებულ თვით რუსის ხალხის ინტერესებს. რუს და არარუს ხალხების ინტერესები ერთნაირად მოითხოვენ საბჭოთა წესწყობილების დამხობას და მის ნანგრევებზე საერთაშორისო ხასიათის ახალ ურთიერთობათა დამყარებას: ეროვნულ-დამოუკიდებელ რესპუბლიკების წარმოშობას, ამ რესპუბლიკებში ხალხის ხელისუფლების დამყარებას და მათ შორის კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების ჩამოგდებას.

ამ მოსაზრებების მიხედვით წარმომადგენლებმა კავკასიის სამ რესპუბლიკისა, რომლებმაც ურთიერთ შორის დასდვეს კავკასიის კონფედერაციის პაქტი, დაადგინეს:

შექმნან კავკასიის კონფედერაციის საბჭო.

საბჭოს მიზანია:

1. მოამზადოს კავკასიის ხალხები რუსული საოკუპაციო ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის კავკასიაში, რესპუბლიკების აღდგენისათვის და მათი გაერთიანებისათვის კონფედერატიულ კავშირში.

2. ამ მიზნით გააბან პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირი საბჭოთა კავშირის სხვა დამონებულ ხალხების ორგანიზაციებთან.

3. განმანთავისუფლებელ ეროვნულ ბრძოლის პროცესში კავკასიის კონფედერაციი' საბჭო მზად არის შევიდეს მიზნობრივ კავშირში რუსეთის ხალხის იმ რევოლიუციონურ ძალებთანაც, რომლებიც უდაოდ იცნობენ კავკასიის და რუსეთის მიერ დამონებულ ყველა ხალხების დამოუკიდებლობას, იბრძვიან ხალხის ხელისუფლებისათვის და ყველა საერთაშორისო დავათა გადასაჭრელ საშვალებათ აღიარებენ არა იარაღს, არამედ მშვიდობიან გზას და სავალდებულო არბიტრაჟს.

4. კავკასიის საბჭო, იბრძვის რა თავის მიზნების განსახორციელებლად, ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებს, იღებს ორიენტაციას უკმაყოფილო ხალხებს, ეძებს თანაგრძნობას და მხარის დაჭერას კავკასიის ყველა მეგობრების და უარყოფს ყველა ისეთ ნაბიჯებს, რომელთაც შეუძლია ჩაითრიოს ეს ხალხები რომელიმე ავანტიურაში.

საბჭო ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი ხალხების ინტერესებით და რჩება შემქნელად და პატრონათ კავკასიის პოლიტიკისა.

იძულებითი პასუხი

გამოვიდა უცხოეთში მყოფ სოც.-ფედერ.-ბის კომიტეტის «სახალხო საქმის» მერვე რვეული. ეგ ორგანო იშვიათად გამოდის,—წელიწადში ან ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ. თავისთავად იგულისხმება, რომ პოლიტიკურ პარტიის ორგანო პირველ რიგში უნდა აყენებდეს და არკვევდეს პოლიტიკურ საკითხებს, აცნობდეს მკითხველ საზოგადოებას პარტიის პოლიტიკურ გეზს და შეხედულებას. სრულიად ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ «სახალხო საქმეც» სწორედ ამ გზით ივლიდა და პირველსა და მთავარ ადგილს დაუთმობდა ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელ ბრძოლის საკითხებს, მაგრამ მოლოდინი ოდნავადაც არ გამართლდა. 40 გვერდიანი რვეული, გარდა 24 სტრიქონიან სამაისო წერილის და ორ პატარა ნეკროლოგისა, დათმობილი აქვს ს.-ფედერალისტთა პარტიის გადაჭარბებულ ქებას და სხვების უმართებულოთ ჩაწიხვლას. გარეშე ამისა ამ რვეულში მკითხველი ვერას იპოვის ვერც ქართველი ერის განმანთავისუფლებელ გზების შესახებ, ვერც დღევანდელ გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობაზე, ვერ ამოიკითხავს ვერც იმ უაღრესად აღმაშფოთებელ ბრძოლის დაფასებას, რომელსაც ემიგრაციის ერთი ნაწილი აწარმოებს ჩვენი საერთო ფრონტისა და ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გვაქვს იმის წინააღმდეგი, რომ რვეულის თანამშრომლებმა თავისი პარტია აქონ და ადიდონ, მაგრამ ამისთვის სრულიადაც არ არის საჭირო სხვის შესახებ შეუფერებელი ზღაპრები ავრცელო, სხვისი ნამოქმედარი პირუკუღმა შეაბრუნო.

ბ-ნი ს. ფირცხალავა თავისი გრძელი წერილის შესავალში სწერს, რომ იგი ვერ ეგუება და არც ესმის «ქართულ ემიგრაციაში ამ ჟამად გამეფებული ერთმანეთის სიძულვილი და ცხარე ბრძოლა», მაგრამ არ მგონია, რომ სიყვარულისა და სათნოების მოციქულათ გამოდგეს ყოველივე ის, რასაც იგი სწერს იმ პარტიაზე, რომელმაც—მისი სიტყვებით რომ ვთქვათ—«დიდი პოლიტიკური მუშაობა გასწია, მაგრამ ეროვნულ საკითხს მიუდგა უარყოფით». ცხადია ავტორს მხედველობაში ყავს სოც. დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებული «ახალი ძალები», რომელნიც, მისი მოწმობით, «ებრძოდენ ეროვნულ მისწრაფებათა ყოველს გამომჟღავნებას» და მუშაობას უძნელებდენ სოც.-ფედერალისტებს «ნიღილისტურ-ეროვნულ პროპაგანდით».

რვეულის მეორე თანამშრომელი ბ-ნი არჩილიანი კიდევ უფრო შორს მიდის და გვარწმუნებს, რომ «საქართველოს იდეა იყო ძველებურად მწვალებლობად გამოცხადებული» (იგულისხმება სოც. დემოკრატიის მიერ. ი. ჭ.) და როდესაც ეგ მწვალებლები «ძირს ავტონომიაო» გაიძახოდენ, მაშინ თურმე სოც.-ფედერალისტთა პარტია სეპარატიზმს ქადაგებდა და «ქართული სახელმწიფოს აღდგენას» მოითხოვდა. ეს ამბავი საშინელ გრგვინად გავარდნილა და «ძველი და ახალი თაობა მტრის წინააღმდეგ დარაზმული, ახლა მთელი სიმძაფრით ამ ახალ მოძრაობას დაჯახებია და მისი განადგურება მოუნდომებია». სწორედ რომ ილოვაისკისებური ისტორია.

სოც.-ფედერალისტთა პარტია ჯერ კიდევ დედის მუცელშიც კი არ იყო ჩასახული, როდესაც ნ. ჟორდანია სწერდა: «ჩვენ უნდა ვეცადოთ მხარი მივსცეთ ყველა ისეთ გარემოებას, ყოველ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია საქართველოს ერი განამტკიცოს, გააღონიეროს ერთიანობით, პოლიტიკურად და ეკონომიურად». განა ეს არის ნიღილისტური ეროვნული პროპაგანდა?!. მართალია ჩვენ ვებრძოდით ს.-ფედერალისტების ავტონიას; თუ რომელი მიზეზითა და რა მოსაზრებით იქცეოდა ასე სოც.-დემოკრატიული პარტია, ეს მე ნათლათ გავაშუქე ჩემს მოხსენებაში, რომელიც «ბრძოლის ხმის» № 37-შია დაბეჭდილი და ახლა ზედმეტად მიმაჩნია მისი გამეორება; მაგრამ ის კი სავსებით ეწინააღმდეგება სიმართლეს, რომ რომელიმე ქართველ სოციალდემოკრატს ოდესმე საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ეწეროს და ამგვარი იდეიის «განადგურება» დაესახოს მიზნათ და ბრძოლის საგნათ. ქართულ სოციალდემოკრატიულ პარტიას საქართველოს დამოუკიდებლობა არ ქონია თავის პროგრამაში, რადგან ეს იმ ჟამად დიდათ მავნე უტოპია იქნებოდა, მაგრამ მის პროგრამაში იყო ერთა თვითგამორკვევის უფლება, როგორც პრინციპიალური მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნის პროგრამაში შეტანას ქონდა ის აზრი, რომ თუ ხელსაყრელი პირობები შეიქნებოდა და ქართველი ერი დამოუკიდებლობის გზას დაადგებოდა, სოციალდემოკრატიული პარტიაც მასთან იქნებოდა. ეს აზრი სრული სინათლით განმარტა პარტიის თეორეთიკოსმა და ლიდერმა ნ. ჟორდანიამ პარიზელ გაზეთ «საქართველოს» საპასუხო ბროშიურაში—«ქართველი ნაციონალისტები» (იხ. გვ. 14).

ახლა გავეცნოთ იმასაც, თუ როგორ უცქეროდა საქართველოს დამოუკიდებლობას სოც.-ფედერალისტთა პარტიის ლიდერი განსვენებული ა. ჯორჯაძე. უცხოეთში გამართულ კონგრესზე წაკითხულ იქნა ტეზერელის (ვ. ჩერქეზიშვილის ფსევდონიმია) მოხსენება სეპარატიზმის სასარგებლოთ. ამ მოხსენების საპასუხოთ საბული (არ. ჯორჯაძის ფსევდონიმია) შემდეგს ლაპარაკობს:

«ბ. ტეზელის მოხსენების შინაარსიდან სჩანს, რომ ის მოსურნეა რუსეთს მთლად ჩამოაშოროს საქართველო. საჭიროა ეს? ან შესაძლებელია ეს ჩვენთვის? ამგვარ კითხვების განმარტების დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ხოლმე ხალხის კულტურული განვითარების ევოლიუცია. ამ ევოლიუციას, რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ ერები სოლიდარობისაკენ, თავისუფალ გაერთიანებისაკენ მიისწრაფიან და არა განკერძოებისაკენ. თუ სეპარატიზმი ერთად ერთი და საუკეთესო საშვალება ერის განვითარებისა, მაშინ მესმის, ჩვენც უნდა მივიღოთ იგი. მაგრამ ეს ასე არ არის. ავტონომიური, ხოლო პოლიტიკურად დამოუკიდებელი კანადა ან კიდევ ავსტრალია რითი ჩამოუვარდება, ვსთქვათ, პოლიტიკურად დამოუკიდებელ სერბიას ან ესპანიას? თანამედროვე პირობებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენახვა და დაცვა ადვილი საქმე არ არის. გარდა ამისა, პოლიტიკური დამოუკიდებლო-

ბა პატარა სახელმწიფოებისა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება ხალხს. ეს პრინციპიალური მხარეა. ახლა კიდევ მხედველობაში რომ მივიღოთ რუსეთის სიდიდე და მისი პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება მომავალში, ევროპის ინდიფერენტიზმი ჩვენდამი; მხედველობაში რომ მივიღოთ ისიც, რომ ერთ პატარა სახელმწიფოს დაარსება კავკასიაში, სადაც ერი, სარწმუნოება და ენა ისე გადაება და აირია ერთმანეთში, იქნება მიზეზი მუდმივი შუღლისა, შოვინიზმისა და დავისა ამ ერთა შორის,—ყოველივე ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, სეპარატიზმზე ხელი უნდა ავიღოთ» («ოქმები ქართ. სარევ. პარტიათა კონგრესისა», გვ. 176-7).

ამ გრძელი ამონაწერიდან სავსებით ნათლად სჩანს, რომ სოც.-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის მიერ კატეგორიულად უარყოფილია საქართველოს რუსეთიდან «მთლად ჩამოშორება» არა მარტო ტაქტიკურის, არამედ პრინციპიალური მოსაზრებითაც. ამის შემდეგ ვის უნდა ვერწმუნოთ: ბ-ნ არჩილიანის გაზღაპრებულ ისტორიას, თუ თვითონ არჩილ ჯორჯაძის ნათქვამს და შავით თეთრზე გადატანილს?

რვეულის ზოგიერთი თანამშრომლები ცდილობენ დაარწმუნონ მკითხველი, რომ სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ როგორც იქნა შეიგნო მათი ძველი ლოზუნგი და დღეს ისიც ქადაგებს შეთანხმების აუცილებლობას, მაგრამ «სამწუხაროთ ეს იყო გვიან და განდგომილ-გალახულის შეყვარება ასე ერთბაშათ ველარ მოახერხეს მისმა რაზმებმა...» ასეთი რამ წინეთაც დასწერა «სახალხო საქმის» მეორე რვეულმა და მაშინვე მიიღო შესაფერი განმარტება («ბრძოლა» № 22, 1927 წ.). მას აუხსნეს, რომ «ტირილში ქორწილი და ქორწილში ტირილი ჩვენი ტაქტიკა» არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება. რევოლიუციამდე ქართველი გლეხი და მუშა განიცდიდენ არა მარტო ეროვნულ ჩაგვრას, არამედ ეკონომიურსაც აგრეთვე. ამ ეკონომიურ მჩაგვრელთა შორის იყვენ ქართველი მემამულენი და ქართველი მწარმოებელნი. ცხადია იმ დროს «საერთო ნიადაგის» გამონახვა და შეთანხმება ნიშნავდა დაჩაგრულისა და დამჩაგვრელის შეთანხმებას. ეს იყო წმინდა წყლის უტოპია, რაც სავსებით დამტკიცდა მით, რომ «საერთო ნიადაგის» ქადაგება დარჩა ხმათ «უდაბნოსა შინა მღაღადებლისა». სულ სხვა მდგომარეობაა ამ ჟამად: დღეს საქართველოში მჩაგვრელებია მხოლოდ საოკუპაციო ხელისუფლება და კომუნისტური პარტია, ხოლო დაჩაგრული კი მთელი ქართველი ერი; იგი დაჩაგრულია როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურათ და დაჩაგრულთა შეთანხმება საჭიროც არის და შესაძლებელიც; მაგრამ თუ ეს დღემდე არ არის სავსებით განხორციელებული, ეს აიხსნება იმ ზოოლოგიური სიძულვილით, რომლითაც სოციალდემოკრატიის მიმართ არიან შეპყრობილი ზოგიერთი ჯგუფები თუ კერძო პირები. ამ სიძულვილის განელებას ოდნავადაც ვერ შეუწყობენ ხელს რვეულში მოთავსებული წერილები, პირიქით მათ შეუძლიათ სრულიად წინაალმდეგი შედეგის გამოღება.

ჩვენ არ გვაქვს არც სურვილი და არც ადგილი ჩამოვთვალოთ და გავარჩიოთ ყველა ის წვრილმანი თუ სხვილმანი გადამახინჯებანი და სიმართლის წინაალმდეგ ნებსითი თუ უნებლიე შეცოდებანი, რომლითაც გადაჭრელებულია «სახ. საქმის» მერვე რვეულის ფურცლები; შევჩერდებით მხოლოდ ბ-ნ ნ. ურუშაძის წერილზე. აქ ორი რამ არის საინტერესო: პირველი—ჩვენი პარტიის წარსულის და აწმყოს დაფასება, მეორე «ორნატის» ჯგუფის საყურადღებო მოვლენად გამოცხადება.

დავიწყოთ პირველიდან. ბ-ნ ურუშაძეს არ მოსწონს ჩვენი პარტიის წარსულის ის დაფასება, რომელსაც ადგილი აქვს «ბრ. ხმაში» დაბეჭდილ ჩემს მოხსენებაში. ეს მოხსენება თურმე «სავსეა იდეურ დებულებათა და ისტორიულ პერიოდების გაგებათა წინაალმდეგობით», მაგრამ ბ-ნი ურუშაძე თავს არ იწუხებს იმაზე, რომ მკითხველს განუმარტოს და დაანახოს თუ რაში მდგომარეობს ეს «წინაალმდეგობა». მე კი ვფიქრობ, რომ ეს წინაალმდეგობა მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნ ნ. ურუშაძის წარმოდგენაშია და არა ჩემს მოხსენებაში.

მე ვამბობ ჩემს მოხსენებაში: «ეროვნება, ერი, ქართველი ხალხი, ქართული კულტურა, ერის ეკონომიური წარმატება,—აი ის საჭირბოროტო კითხვები, რომელთა ირგვლივ ტრიალებდა ახლად წარმოშობილ პარტიის აზრი და გონება». სანამ ვინმეს ან რამეს დაფასებას შეუდგებოდე, საჭიროა ამ ვინმეს თუ რამის წარსულის შესწავლა და აწმყოს კარგად გაკვეთა; ბ-ნ ურუშაძეს რომ ეგ მარტივი ჭეშმარიტება თავისთვის სავალდებულოთ გაეხადა, იგი შეეცდებოდა წინასწარ ზერელედ მაინც გაცნობოდა ჩვენი პარტიის წარსულს და მისი ხელმძღვანელების ნაწერებს. მას რომ წაეკითხა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის და მამამთავრის ნ. ჟორდანიას თუნდაც ორი საპროგრამო წერილი—«ეკონომიური წარმატება და ეროვნება» და «გაზეთი «ივერია» და ეროვნება»—დაწერილი და გამოქვეყნებული სოც.-ფედერალისტთა პარტიის დაარსებამდე, ეცოდინებოდა, რომ ჩემი ნათქვამი არის ისტორიული სიმართლე და არა «როლების დიამეტრალური შეცვლა». მაგრამ ბ-ნ ურუშაძეს ჩვენი პარტიის წარსულის შესწავლა როგორ უნდა მოვსთხოვოთ, როდესაც მას თავის პარტიის წარსულიც კი არ სცოდნია. სამაგიეროთ მას გვარიანად ეხერხება მხოლოდ პათეთიური კითხვების დასმა და სხვისი ნათქვამის თავისებურათ გადაკეთება, სხვისი აზრის მის გემოზე შესწორება, ქარის წისქვილების აგება და ამ უკანასკნელის წინაალმდეგ ჩხირკედელობა.

«მაშ, გაგვაგებიეთ, რაში იყო დავა არჩილ ჯორჯაძესა და მესამე დასელებს შორისო?!» გაკვირვებით კითხულობს ბ-ნი ურუშაძე და განაგრძობს: «ეს მცნებანი—ერი, ეროვნება, ეროვნული კულტურა... განა არ შეადგენდენ სათაურებს არჩილ ჯორჯაძის წერილებისა და საგანს მისი პოლიტიკურ-პუბლიცისტურ მოღვაწეობისას?» ავტორს თუ დაუჯერებთ საქმე სათაურებში ყოფილა. მას დღემდე არ სცოდნია, რომ შეიძლება სხვადასხვა შეხედულებისა და მიმართულების მწერლებმა სწერონ ერთი და იმავე სათაურით და ერთ და იმავე საგანზე, მაგრამ მათ შორის აზრთა და შეხედულებათა დიდი განსხვავება იყოს. საქმეა არა სათაურებში, არამედ სათაურში აღნიშნულ საკითხისადმი მიდგომაში, მის გაგებაში და გამუქებაში. სოც.-დემ. პარტია და არ. ჯორჯაძე სხვა და სხვანაირად უდგებოდენ ეროვნულ კითხვებს და მათ გადასაჭრელად ერთმანეთისგან განსხვავებულ გზებზე მიგვითითებდენ.

როგორი იყო სოც.-დემოკ. პარტიის ეს განსხვავებული გაგება და მიდგომა ეროვნულ კითხვებისადმი? თუ ბ-ნ ურუშაძეს დაუჯერებთ მე ჩემს მოხსენებაში მითქვამს, რომ «მესამე დასმა», თურმე, თავის გამოსვლის პირველ დღიდანვე შეუპოვრად გაილაშქრა ს.-ფედერალისტთა პარტიის ეროვნულ საკითხისადმი ბურჟუაზიული მიდგომის წინაალმდეგ და მის ნაცვლად ჩვენ, ს.-დემოკრატები, ეროვნულ საკითხს მიუდექით მუშათა კლასის თვალსაზრისით და მას მივეცით მუშური გაგება». ბ-ნი ურუშაძე ჩემი ნათქვამის თავისებურად გადამახინჯების სურვილს ისე გაუტაცია, რომ ვერც კი ამჩნევს თუ რა უაზრო რამეს მაწერს; «მესამე დასს» «თავის გამოსვლის პირველ დღიდანვე» არ შეეძლო გალაშქრება ს.-ფედერალისტთა პარტიის წინაალმდეგ იმ უბრალო მიზეზით, რომ იმ დროს ეგ პარტია კიდევ არ არსებობდა. ქვევით სხვისი ნათქვამის გადამახინჯების უებარი ოსტატი დასძენს, რომ მე «წინდახედულად არ ვამბობ, თუ როგორი იყო ეროვნული საკითხის მათი ის მაშინდელი მუშური გაგება». ჩემს მოხსენებაში ერთხელაც არ მიხმარია ის სიტყვები, რომელსაც ჩემი მოკამათე მაწერს, არსად არის ნახსენები «მუშური გაგება». ჩვენი გაგება ეროვნულ საკითხისა და მისადმი მიდგომა იყო მარქსისტული, სოციალისტური და დემოკრატიული და მე კიდეც განვმარტე თუ რას შეიცავდა ეს მიდგომა და გაგება. აი რას ვამბობ ამის შესახებ ჩემს მოხსენებაში: «მესამე დასმა» თავის გამოსვლის პირველ დღისთანვე შეუპოვრად გაილაშქრა ჩვენი ეროვნულ საკითხისადმი თავად-აზნაურული მიდგომის წინაალმდეგ. მან პირველმა სთქვა გაბედულად და გადაჭრით, რომ ქართული ეროვნული საკითხი ქართველი ხალხის, მისი დიდი უმრავლესობის საქმეა და არა გადაგვარების და გადაშენების გზაზე შემდგარ დრომოჭმულ წოდების. ეროვნული გადაგვარებისა და ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დაღწევა შეუძლია გათვითცნობიერებულ ხალხის უმრავლესობას. აქედან დასკვნაც შესაფერისი გააკეთა: ქართველი ხალხის გათვითცნობიერება, მისი კულტურული დონის სათანადო სიმაღლემდე აყვანა; ხოლო ხალხის კულტურული ზრდისა და პოლიტიკური განვითარების საფუძველია მისი ნივთიერი კულტურა, მისი ეკონომიური წინსვლა და წარჩინება. მაშასადამე «ჩვენ უნდა ვეცადოთ მხარი მივცეთ ყველა ისეთ გარემოებას, ყოველ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია საქართველოს ერი განამტკიცოს, გააღონიეროს ერთიანობით, პოლიტიკურად და ეკონომიურად». აქ კომენტარიები ზედმეტია: მკითხველი თავისით მიხვდება, რომ ბ-ნი ურუშაძე შეგნებულათ ღალატობს სიმართლეს, როდესაც ირწმუნება, რომ მე ჩემს მოხსენებაში «წინდახედულულათ» არ ვთქვი თუ როგორი იყო ჩვენი პარტიის ეროვნული საკითხის გაგება.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ბ-ნ ურუშაძის მიერ «ორნატის» ჯგუფის დაარსების საყურადღებო მოვლენათ გამოცხადების შესახებ. ავტორი წერილის შენიშვნაში თვითონ აღიარებს, რომ «ორნატი», როგორც დამოუკიდებელი სხეული აღარ არსებობს». ეგ «სხეული» უწლოთ ერთი კვირის მანძილზე აირია და დაიშალა; ორიოდე კაცი «თ. გიორ.» შეუერთდა, დანარჩენი ორიოდე უგზოთა და უიალქნოთ დარჩა. ასეთ სწრაფწარმავალ ჯგუფის დაარსებას ბ-ნი ურუშაძე მაინც «საყურადღებო მოვლენათ» აცხადებს, ხოლო სოც.-დემოკრატიულ პარტიიდან ორიოდე გზა აბნეულ ემიგრანტის ჩამოცილება ამ პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ კრიზისათ ეჩვენება. სწორედ ამაზე იტყვიან—მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ბ-ნ ურუშაძეს უთუოდ ძალიან უნდა იდეური კრიზისი და ორგანიზაციული არევ-დარევა წარმოიშვას ს.-დემოკრატიულ პარტიაში და მასაც ეს ელანდება.

ივ. ჭაჭანიძე.

◆

26 მაისი საზღვარ-გარეთ

საქართველოს ნაციონალური დღესასწაული, 26 მაისი, ჩატარდა საზღვარ-გარეთ თითქმის ყოველგან დიდებულათ. ქართული საკითხი მუდამ იპყრობს უცხოელთა ყურადღებას და ამ დღეს ჩვენთან ერთათ ისინიც გამოთქვამენ თავის აზრს და თანაგრძნობას.

ჟენევაში იქნა გამართული პირველ ყოვლისა საქართველოს დამცველი ინტერნაციონალური კომიტეტის კრება, სადაც მოწვეულ იქნა აგრეთვე ახლო მეგობრები და თანამშრომელნი. წარმოითქვა სიტყვა კომიტეტის თავმჯდომარის პროფ. ალბერ მალშის, ჟან მარტენის, ოლგას მილოს და ხ. შავიშვილის მიერ. შემდეგ გაიმართა ქართული სიმღერა და ცეკვა საგანგებოთ ამ მიზნით საფრანგეთიდან ჩასულ ქართველი ახალგაზდების მიერ. მეორე დღეს «პრესის საზოგადოებამ» გამართა ვახშამი სადაც წარმოითქვა სიტყვები 26 მაისის შესახებ. პასუხი გასცა მადლობით საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა შავიშვილმა. ძალიან მოეწონათ დამსწრეთ ქართული სიმღერა და ცეკვა. ხოროს მეთაურობდა ბ. შენგელია და შედგებოდა შემდეგი პირებისაგან: ბახტაძე, ჩუბინიძე, ალანია და თაყაიშვილი. ქართული ცეკვა ჩინებულათ ჩაატარეს ქალ. ი. გომართელმა და შ. გედევანიშვილმა. ჟენევის გაზეთებმა უძღვნეს თავისი ფურცლები ამ დღესასწაულს. მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას დამსწრეებმა გამოუგზავნეს წერილობითი მოლოცვა სადაც სწერენ: «საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 17 წლის თავის აღსანიშნავათ შეკრებილნი: წევრნი პრესის საზოგადოების, ინტერნაციონალური კომიტეტის საქართველოსათვის, და აგრეთვე თქვენი კეთილშობილური სამშობლოს გადმოხვეწილი შვილები გიძღვნიან თავის პატივისცემას და ერთგულებას თქვენი საქმისადმი». ხელს აწერენ 27 კაცი, ალბერ მალშის მეთაურობით.

პარიზში, ეს დღე გაიმართა მშვენიერ დარბაზში, სადაც დაესწრო დიდძალი ხალხი. ბევრნი იყვნენ მოწვეული სტუმრები, როგორც მეზობლები, ისე ფრანგები. სიტყვა წარმოსთქვას კოლონიის თავმჯდომარემ ბ. სხირტლაძემ, შემდეგ სტუმრებმა. სომხების სახელით ილაპარაკა ალ. ხატისოვმა და თავისი თფილი და გრძნობიარე სიტყვა დაათავა ქართულათ: გაუმარჯოს საქართველოს! უკრაინის წარმომადგენელმა პროფ. შულგინმა უძღვნა მხურვალე სალამი ქართველ ერს და უსურვა გამარჯვება, ფრანგმა პოლკოვნიკ კოკემ გააცნო დამსწრეთ საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობა დაწყებული საშუალო საუკუნიდან დღევანდლამდე, რამაც დიდათ დააინტერესა ყველა დამსწრე და უსურვა საქართველოს 26 მაისის ხელახლა აღდგენა. აზერბაიჯანის სახელით ილაპარაკა ალიბეგოვმა და გამოსთქვა ძმური, მეზობლური თანაგრძნობა. დღესასწაული დასრულდა ცეკვით და სიმღერით. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

პრაღიდან მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშით მოლოცვა სენატის თავმჯდომარე სოუკუპისაგან.

◆

26 მაისი პრაღაში

ჩვეულებრივი ზეიმით მრავალრიცხოვანი სტუმრების თანდასწრებით ვიდღესასწაულეთ წლის თავი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მოკლეთ, ლამაზ ქართულ ენაზე ამბობს გასახსნელ სიტყვას ემიგრანტთა საზოგადოების თავმჯდომარე ვლ. ინწკირველი, რის შემდეგ ქ-ნი ნ. აიოლო ასრულებს როიალზე ქართულ ჰიმნს. გრ. აიოლო კი უთვალისწინებს სტუმრებს მნიშვნელობას ამ დღის და იმ მონაპოვარის, რომელიც ქართველმა ხალხმა იგემა და იგემებდა მომავალში, რომ მისთვის უხეში ძალით არ წაერთმიათ 26 მაისი. ის ესალმება წარმომადგენლებს სხვადასხვა ერების და ორგანიზაციების. ემ. ლომთათიძე აკეთებს მოხსენებას:—საქართველოს დღევანდელი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

იწყება მისალოცი სიტყვები: ლაპარაკობენ უკრაინელები, ბელორუსები, ყუბანელები და სხვ. ყველა ხაზს უსვამს საქართველოს შეუპოვარ ბრძოლას არსებობისათვის და იხსენიებენ მის სანაქებო ძველ კულტურას. განსაკუთრებულ ოვაციას კი ყველასი იწვევს ამ ზეიმზე ჩვეულებრივი მონაწილეობით დასწრება სენატის თავმჯდომარე ფრ. სოუკუპის. თავის შინაარსიან სიტყვაში ის სხვათა შორის ამბობს: ჩემმა მეგობარმა ლომთათიძემ მხურვალე სიტყვით მოიხსენია აქ ჩვენი პრეზიდენტი მასარიკი, ნება მომეცით ასეთივე გრძნობით მოვიხსენიო მეც ქართველი ერის მეთაური ნოე ჟორდანია, ნება მომეცით ამ ზეიმის სახელით გავუგზავნო მას მისალოცი დეპეშა*) (მთელი კრება ფეხზე სდგება და ადასტურებს მხურვალე ტაშით ამ წინადადებას), ნება მომეცით, როცა მე ერთი თვის შემდეგ მუხლებს მოვიყრი დიდი ფრანგის, პიერ რენოდელის, საფლავის წინაშე ტულონში და დავსდებ იქ მოწიწებით გვირგვინს ჩეხოსლოვაკიიდგან, ასეთივე გვირგვინი მივართვა მას ქართველი ერის სახელით საქართველოს ამ შესანიშნავ დამცველს, მის «ადვოკატს» (მთელი კრება ფეხზე მდგარი თავდახრილი მოისმენს ამ სიტყვებს). შემდეგ ორატორი გადადის დღევანდელ საერთაშორისო მომენტის დაფასებაზე და განაგრძობს:—არავინ იფიქროს რომ საბჭოთა რუსეთის ცნობის შემდეგ მე ჩემი დამოკიდებულება შევცვალო ჩემს ქართველ მეგობრებთან, არავინ იფიქროს, რომ საკითხი კავკასიის და კერძოთ საქართველოსი მოიხსნა დღის წესრიგიდგან; დღეს ევროპას დიდი თავის ტკივილები აქვს მიყენებული გერმანიაში დატრიალებული ამბების გამო, იმედი უნდა ვიქონიოთ—ამ საკითხების მოწესრიგების შემდეგ დაიწყება არაოფიციალური მოლაპარაკება ვისთანაც საჭირო არის და ის დაგვირგვინდება ოფიციალური დიპლომატიური გამარჯვებით ქართველი ხალხის სასარგებლოთ. ჩვენი ქართველი მეგობრების ლოიალური თანამშრომლობა თავის ძველ მეგობრებთან ევროპაში—თავდებია ამისი. კრება იშლება მეტად ნასიამოვნები...

ელ.

◆

ა. ენუქიძის დევნა

მოსკოვი ოფიციალურათ აცხადებს აბელ ენუქიძის პარტიიდან გარიცხვას და მიზეზათ ასახელებს «გახრწნას, რაიცა გამოიხატა მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში და პირად ცხოვრებაში». ეს უკანასკნელი მიზეზი, უეჭველია, ყურით მოთრეული მომიზეზებაა, რომ ამით დაამძიმოს მთავარი მიზეზი. ხოლო ეს კი ძევს მის «პოლიტიკურ მოღვაწეობაში». რით განარისხა მან თავისი გუშინდელი მეგობრები? აი რას გვწერენ ამ საგანზე საქართველოდან:

როგორც კი ომის საფრთხემ რეალური გამოხატულება მიიღო და ბოლშევიკებმა იწყეს მოკავშირეთა ძებნა, დაიბადა იდეია სოციალისტებთან ერთი ფრონტის შექმნის შესახებ. ეს წინადადება ყველამ გაიზიარა, მხოლოდ შემდეგ გამოჩნდა განსხვავება. ერთი ნაწილი სცნობდა ერთ ფრონტს მხოლოდ დასავლეთში, მეორე ნაწილი მას აღიარებდა საჭიროთ აგრეთვე საბჭოთა სამეფოში. ამ უკანასკნელი მიმდინარეობის მეთაური გახდა ა. ენუქიძე. ის ითხოვდა მოლაპარაკებას და მოთანხმებას რუს და, განსაკუთრებით, ქართველ სოციალდემოკრატიასან, როგორც მთავარ შენახულ და გაუტეხელ ძალასან. ამ საშინაო ერთ ფრონტს ემხრობოდა ბევრი, განსაკუთრებით ძველი ბოლშევიკებიდან. სტალინი, ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი, აკულოვი და სხ. კი ამას გადაჭრით უარსყოფდენ და აღიარებდენ საჭიროებას არა შეთანხმების, არამედ «შინაური მტრების» სრულიად განადგურების. ენუქიძე არ შედრკა და თავის ირგვლივ შემოიკრიბა თავისი თანამოაზრენი. მისი სეკრეტარიატი გადაიქცა ამ ტენდენციის ბუდეთ. ბოლოს სტალინმა გადასწყვიტა ენუქიძის თავიდან მოშორება «საპატიო ადგილზე» გადაყვანით. გამოაძევა სეკრეტარიატიდან და დანიშნა ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარეთ, ადგილი მხოლოდ ქაღალდზე აღნიშნული, ხოლო ნამდვილათ კი ყოვლად შემძლე ჩეკისტის ბერიას განკარგულებაში. ის არც კი ჩამოსულა საქართველოში და არც ვიცით სად იმყოფებაო.

ამ ცნობიდან აშკარაა ენუქიძის დანაშაულობა და მისი დევნის მიზეზები. აქედან აშკარაა ისიც თუ რატომ გავრცელდა აპრილში ჩვენს ემიგრაციაში ხმა, ენუქიძე ჩამოვიდა ქართველ მენშევიკებთან მოსალაპარაკებლათო, რაზედაც ჩვენ ყოველი მხრიდან გვეკითხებოდენ.

◆

კარლო ჩხეიძის პანაშვიდი

16 ივნისს, პერ ლაშეს სასაფლაოზე, გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ამხ. კარლო ჩხეიძის გარდაცვალების მეცხრე წლის თავის მოსაგონებლად. პანაშვიდს დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო. ახალგაზდობის სახელით სიტყვა წარმოთქვა ვ. ინწკირველმა.

◆

ამხ. სამსონ კაციტაძე

საქართველოში გარდაიცვალა ჩვენი ძველი ამხანაგი სამსონ კაციტაძე. ამხანაგი სამსონი დაიბადა 1888 წ. სოფ. სხვავში (რაჭის მაზრა). მას გათავებული ქონდა საფერშლო სკოლა და 1910 წლიდან მსახურებდა ჭიათურის საავადმყოფოში. ჩამოსვლისათანავე ის დგება ადგილობრივ სოც.-დემ. პარტიის რიგებში და ეწევა ენერგიულ მუშაობას. 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ მას ყოველთვის ეჭირა სხვა და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობანი: იყო ჭიათურის პარტ. კომიტეტის წევრი, შორაპნის სამაზრო საექიმო კომიტეტის თავმჯდომარე და ამავე დროს შორაპნის სამაზრო ერობის საექიმო პუნქტების გამგეთა თავმჯდომარე. 1921 წელს, საქართველოს კომუნისტების მიერ დაპყრობის შემდეგ ის მონაწილეობას იღებს ჭიათურის მოწინავე მუშების არალეგალურ კრებებში და მუშაობაში. ერთ-ერთ საიდუმლო კრებაზე ის არჩეული იქნა კომიტეტის წევრად და შემდეგ მის პრეზიდიუმში. ეს არ დარჩა შეუმჩნეველი და ის ხშირად იყო დაპატიმრებული, მარა როგორც დიდათ გამოცდილ ფერშალს ანთავისუფლებენ და საავადმყოფოში აწესებენ. აჯანყების დროს ის ჭიათურის ციხეში იჯდა და როცა ჩვენ ციხე ავიღეთ—გავანთავისუფლეთ. ამის შემდეგ მას ვხვდები თფილისში, სადაც ის სწავლობდა საექიმო ფაკულტეტზე. ის ამ დროსაც არ მოსწყვეტია არალეგალურ მუშაობას. თფილისში შევადგინეთ შორაპნის მაზრის სამეული ცეკასთან მუდმივ კავშირისათვის. ამ სამეულის წევრი იყო გრ. ფხალაძე, სამ. კაციტაძე და მე. ამ სამეულის მუშაობა გრძელდებოდა ორი წელი—1925 1926 წ.წ. 1927 წ. მან უნივერსიტეტი ისე კარგად დაასრულა რომ დასტოვეს უნივერსიტეტში დოცენტათ. ამავე დროს დაინიშნა მიხაილოვის საავადმყოფოს ექიმად. ჩეკამ ის აქ დაატუსაღა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა თვით ციხეში.

ჩვენი ქვეყნისათვის დაღუპულთა რიცხვს ამხ. სამსონიც მიემატა. მადლიერი სამშობლო და კერძოთ ჭიათურის მუშები არ დაივიწყებენ მის ნაამაგარს...

თედა.

◆

ესე ლომაძე

გურიაში, სოფელ მამათში, სცხოვრობდა ლევ. ლომაძის ოჯახი, რომელიც მთელი თავის ოჯახით დიდ მონაწილეობას იღებდა მოძრაობაში ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს. ყველა დევნილი და მოწინავე ელემენტები ამ ოჯახთან იყვენ დაკავშირებული და ლევანის და მისი შვილის ესეს საშვალებით აწყობდენ საჭირო მუშაობას. დამოუკიდებლობის დროს ესე ლომაძე თავგამოდებით სდევნიდა ყველას, ჩვენის ქვეყნის მოწინაალმდეგეთ, რომლებიც მაშინ ქურდობასან ერთად კომუნისტობდენ კიდეც. ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ყველა ეს ქურდები თუ ყაჩაღები პასუხისმგებელ პირებათ მოევლინა სოფელს და კიდევაც იძიეს შური ლევ. ოჯახზე, რომელიც სრულიად გაანადგურეს. ლევანის შვილი ესე მრავალხელ დაჭერის, ოჯახის განადგურების და დევნის გამო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა და ამ რამდენიმე თვის წინად გარდაიცვალა.

შეცდომის გასწორება

«ბრძ. ხმა»-ს № 53-ში დასტამბულ პატარა განცხადებას აკლია ხელის მოწერა. უნდა იყოს—გრ. ურატაძე.

ქართული ოფისი

გადავიდა ახალ ბინაზე:
38 rue Boileau. Hameau Boileau. მეტრო № 8: სადგურები Chardon Lagache ან Molitor.
ოფისი ღიაა ნაშუადღევის 3 დან 6 საათამდის.

◆

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
M-r P. Sardjveladze
9, rue Seguier 9. Paris (6)

◆

ბიანკურში

გაზეთი «ბრძოლის ხმა» იყიდება
დ. ყიფშიძესთან
93, Av. Ed. Vaillant, 93.

---

*) ასეთი დეპეშა მეორე დღესვე გაეგზავნა ნოე ჟორდანიას.

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.